საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 184 (12 559) 7 აგვისტო ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი





## რა საძირკველი ელის კუპერს

არგენტინელი პარასკევს ჩამოდის »»» 4

## მესის უკან დააბრუნებენ?

პეკინი 2008 »»» 6

## დარჩა 1 დღე



თენგიზ გაჩეჩილაძე
*პეკინიდან*



ნიკოლოზ ნეფარიძე
*პეკინიდან*

# ყველა გზა პეკინში მიდის

ხომ გახსოვთ? ყველა გზა რომში მიდის! ახლა ყველა გზა პეკინში მიდის! უნიკალური ისტორიული მოვლენაა - პეკინში, 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, 205 სახელმწიფოს წარმომადგენელი შეიკრიბება. არ არსებობს პრეცედენტი, ამდენი ქვეყნის შვილი სადმე ერთად იყრიდეს თავს. ეს მხოლოდ ოლიმპიური თამაშების დამსახურებაა.

1960 წელსაც, ყველა გზა რომში მიდიოდა, საქართველოს გზაც, ოღონდ, მოსკოვის გავლით, საბჭოთა სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში. მაშინ, რომში, პირველმა სწორედ ქართველმა **რობერტ შავლაყაძემ** დაუსვა წერტილი სიმაღლეზე ხტომაში ამერიკელთა, თითქოსდა ხელშეუხებელ ჰეგემონიას. რობერტი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. და იქვე, რომში, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კიდევ ერთმა ქართველმა შედგა ფეხი: ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოქროს მედალი **ავთანდილ ქორიძემ** მოიპოვა. ბარემ სხვებზეც ვთქვათ: წყალბურთელები - **გივი ჩიქვანაია** და **ლერი გოგოლაძე**, კალათბურთელები **გურამ მინაშვილი** და **ვლადიმერ უგრეხელიძე**, თავისუფალი სტილის მოჭიდავე **გიორგი სხირტლაძე** მეორე პრიზიორები გახდნენ, ბრინჯაოს მედალი ბერძნულ-რომაულში **გივი კარტოზიას**, თავისუფალში **ვლადიმერ რუბაშვილს**, ხოლო ფარიკაობაში **გურამ კოსტავას** ერგო.

პეკინისკენ მიმავალ გზას ახლა ჩვენც დავადექით. საქართველოს წარმომადგენლები, მეტწილად, კიევიდან და სტამბოლიდან ჩამოდიან. ჩვენ, ლელოელებმა, რისკის ფასად, სტამბოლი ავირჩიეთ. რისკი იმიტომ, რომ პეკინიდან ჩარტერული რეისით მთელი დელეგაცია ერთად დავბრუნდებით. სტამბოლში, შეიძლება, უკან დასაბრუნებელი ბილეთი მოეთხოვათ და პრობლემები შეგვქმნოდა. უარესი ვარიანტი დეპორტაცია იქნებოდა, უკეთესი - მწვანე გზა პეკინისკენ...

გაგვიმართლა. არანაირი პრობლემა. არც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისგან წინდაწინ აღებული ცნობის მოშველიება გახდა საჭირო, ცნობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ პეკინიდან უკან ჩარტერული რეისით დავბრუნდებოდით. გარდა ამისა, აკრედიტაცია, რომელიც ხელთ გვქონდა თბილისიდანვე, ისეთი დოკუმენტია, ყველას ავალდებულებს, დაგეხმაროს და პრობლემები არ შეგიქმნას. თუმცა საქმე არც ამ დოკუმენტის მოშველიებამდე მისულა. პეკინისკენ, ყველა აკრედიტებულისთვის ნამდვილად მწვანე შუქია ანთებული.

სტამბოლში თბილისიდან 5 აგვისტოს, საღამოს გავფრინდით. პეკინისკენ კი გეზი ნაშუაღამევს ავიღეთ, სტამბოლიდან, პირდაპირი რეისით. ესეც ბედნიერებაა: მესამე და მეოთხე პუნქტს ავცდით. მაგრამ, თურმე, მთავარი ის კი არ არის, საიდან ჩახვალ სასურველ ადგილამდე და რამდენი ქვეყნის აეროპორტს გამოიცვლი, უპირველესი და უმთავრესი, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი მგზავრობაა, მერე კიდევ, თუ შენი ბარგიც თან გაქვს. არადა, როგორია უცხო ქვეყანაში ცარიელ-ტარიელი ჩახვიდე, თანაც, ოლიმპიურ თამაშებზე და რამდენიმე დღე ელოდო ბარგს? როგორც ადრე გაუწყეთ, ჩვენი სპორტული დელეგაციის ერთ სოლიდურ ჯგუფს სწორედ ასე დაემართა...

»»» 12



ოლიმპიური სოფელი





# ჩვენ ვინვალეთ, ბერძნებმა ივარჯიშეს

## ევროთასებზე ვით ჯორჯია დაგვრჩა



დინამო-პანათინაიკოსი 0:0 »»» 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# კუპერი ხვალ ჩამოვა

## კონტრაქტი ამ კვირაში გაფორმდება

საქართველოს ნაკრების ახალი თავკაცი **ექტორ კუპერი** თბილისში ხვალ, გამთენიისას ჩამოვა. არგენტინელი მწვრთნელი დედაქალაქში ბინას შეარჩევს და როგორც ადრევე ითქვა, თბილისში იცხოვრებს. კუპერთან კონტრაქტი ამ კვირაშივე გაფორმდება. შესაძლოა, ეს პარასკევსაც კი მოხდეს.

არგენტინელმა 20 აგვისტოს უელსთან ამხანაგური მატჩისთვის შემადგენლობა უნდა დაასახელოს და ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ჩამოაყალიბოს.

კუპერი 17 აგვისტოს უელსში გაემგზავრება. ამხანაგური მატჩისთვის მზადება კი 18 აგვისტოს უელსის ქალაქ სუონსში დაიწყება. ბრიტანეთში გამგზავრებამდე ექტორ კუპერი 14 აგვისტოს უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯიისა" და „აუსტრიის" პირველ მატჩსაც დაესწრება.

**დავით ცაბაძე**

ფიფას რეიტინგი

# საქართველო სამი ადგილით წინაა

გუშინ ფიფამ აგვისტოს რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც ცვლილება მრავლადაა. რეიტინგში მეორე ადგილი იტალიამ გერმანიას დაუთმო. რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ჩვენს მეტოქეებს, ბულგარეთი და ირლანდია უწინდელ პოზიციაზე დარჩნენ, შესაბამისად, მე-17 და 41-ე ადგილებზე. კვიპროსმა საფეხურით ზემოთ აინაცვლა და ახლა 62-ეა. ჩერნოგორია კი სამი საფეხურით დაწინაურდა და 143-ე ადგილზეა. სამი საფეხურით დაწინაურდა საქართველოც - ჩვენ 86-ე პოზიციაზე ვართ.

20 აგვისტოს უელსთან სტუმრად ამხანაგურ მატჩს გავმართავთ და ჩვენი ნაკრების უახლოესმა მეტოქემაც სამი ადგილით აინაცვლა - 51-ეა.

| | |
|---|---|
| 1. (1) ესპანეთი | 1557 |
| 2. (3) გერმანია | 1343 |
| **3. (2) იტალია** | **1320** |
| 4. (5) ჰოლანდია | 1299 |
| 5. (7) ხორვატია | 1282 |
| 6. (4) ბრაზილია | 1242 |
| 7. (6) არგენტინა | 1219 |
| 8. (8) ჩეხეთი | 1146 |
| 9. (9) პორტუგალია | 1122 |
| 10. (11) რუსეთი | 1023 |
| **17. (17) ბულგარეთი** | **930** |
| **41. (41) ირლანდია** | **666** |
| 51. (54) უელსი | 578 |
| **62. (63) კვიპროსი** | **503** |
| **86. (89) საქართველო** | **393** |
| 143. (146) ჩერნოგორია | 180 |

*ფრჩხილებში მითითებულია წინა თვის რეიტინგში დაკავებული პოზიცია*

**დავით ცაბაძე**

# ქართველები ევროპაში

გუშინ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები გაიმართა. ერთი კვირის წინ **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა" ვენის „რაპიდი" შინ 3:0 დაამარცხა. ქეცბაიას გუნდი ვენაშიც დაწინაურდა. მართალია 1:3 დამარცხდა, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც გავიდა. „ანორთოსისის" ქართველ ფორვარდ **კობა ნიტაიშვილს** ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

*„რაპიდი" შინ 3:0 დავამარცხეთ, მაგრამ კარგად გვესმოდა, რომ ვენაში ძალზე რთული მატჩი გველოდა. ანგარიში ჩვენ გავხსენით, მაგრამ მერე ჩემმა გუნდმა ვითარების კონტროლი დაკარგა. თუმცა მეორე ტაიმში თამაში დავალაგეთ. მართალია, დავმარცხდით, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც გავედით და შედეგით კმაყოფილი ვარ"*, - მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა თემურ ქეცბაიამ.

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თემურ ქეცბაიას „ანორთოსისი" ათენის „ოლიმპიაკოსს" დაუპირისპირდება.

**ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფმა" გუშინ პრაღაში 2:0 წააგო და გათამაშებას გამოეთიშა. თარხნიშვილი ტირასპოლელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და მატჩიც ჩაამთავრა. სხვათა შორის, ამ წყვილში გამარჯვებული "სპარტა" მომდევნო ეტაპზე სწორედ „დინამოს" მძლეველ „პანათინაიკოსს" ეთამაშება.

ჩემპიონთა ლიგის გარდა ევროპის სტადიონებზე სხვა ქართველებმაც ისასპარეზეს. ავსტრიულ ბუნდესლიგაში მეხუთე ტურის მატჩები გაიმართა. **გიორგი შაშიაშვილისა** და **ილია კანდელაკის** „შტურმმა" „კერნტენი" სტუმრად 2:0 დაამარცხა და გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე გადავიდა. შაშიაშვილი და კანდელაკი 90-90 წუთი გაისარჯნენ.

ლატვიის ჩემპიონატის მე-17 ტურში „სკონტოს" **ლადო დვალიშვილი** გოლით შეეწია. „სკონტომ" „ოლიმპსი" 3:1 დაამარცხა. დვალიშვილმა პენალტით გაიტანა.

**დავით ცაბაძე**



ვაჟა თარხნიშვილი (უკანა პლანზე)

მეტოქე

# უელსს კაპიტანი გამოაკლდა

## ტოშაკი შემადგენლობას ხვალ დაასახელებს

საზაფხულო პაუზის შემდეგ სანაკრებო მატჩები 20 აგვისტოს განახლდება. ამ დღეს, უელსის ქალაქ სუონსიში უელსისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩი გაიმართება. უკვე მოგახსენეთ, რომ უელსის ნაკრების თავკაცმა **ჯონ ტოშაკმა** ახალგაზრდულ ნაკრებს პრინციპული მატჩის გამო 12 ფეხბურთელი დაუთმო. გუშინ კი უელსელთა კიდევ ერთი დანაკლისი გაცხადდა.

*„იფსვიჩთან" ამხანაგური მატჩი უელსის ნაკრების კაპიტანმა და „ვესტ ჰემის" ფორვარდმა კრეიგ ბელამიმ კოჭლობით დატოვა. მას მუხლის მყესები აქვს დაზიანებული და ორი-სამი კვირით დასვენება მოუწევს. შესაბამისად, ბელამი უელსის ნაკრებს 20 აგვისტოს ვერ დაეხმარება"*. - ეს ცნობა გუშინ ვებგვერდმა „უელსონლაინმა" გაავრცელა.



ჯონ ტოშაკი

უელსის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ჯონ ტოშაკი პარასკევს პრესკონფერენციას გამართავს და 20 აგვისტოს მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობასაც დაასახელებს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები. გერმანია

# ყენიას გოლი და საგოლე პასი

## ხუმარა ქართველების თითო ტაიმი



ლევან ყენია

ბუნდესლიგური „შალკე" ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. ორი ლევანის, **კობიაშვილისა** და **ყენიას** გუნდმა ამხანაგური მატჩი ქვედალიგოსან „კეჩთან" გამართა და 5:0 მოიგო. „ხუმარების" გუნდის სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ქართველი იყო - ლევან კობიაშვილი. მან საწყისი 45 წუთი ითამაშა და **კრისტიან პანდერმა** შეცვალა. 46-ე წუთზე კი **რაკიტიჩის** ნაცვლად ყენია გამოჩნდა მოედანზე. მას ზუსტად ათიოდე წუთი დასჭირდა გოლის გასატანად. ლევანმა 55-ე წუთზე ოთხამდე გაზარდა ანგარიში. თუმცა ყენიას გარჯა მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა: 68-ე წუთზე **პეტერ ლოვენკრანდსმა** საბოლოო ანგარიში სწორედ ქართველი ნახევარმცველის საუცხოო პასით დააფიქსირა.

მომდევნო ამხანაგურ მატჩს „შალკე" 9 აგვისტოს „ჰომბურგთან" გამართავს.

გერმანიაში მოასპარეზე კიდევ ერთ ლეგიონერზეც ვთქვათ: **ოთარ ხიზანეიშვილის** „აუგსბურგმა" ქვედალიგოსანი „ნოიშაბი" 8:0 გაანადგურა. ამ შეხვედრაში ხიზანეიშვილი სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა - მან მეორე 45 წუთი ითამაშა.

**დავით ცაბაძე**

# სუსტების სტიმული: მეორე მატჩი სახლში

პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გუშინ ხალხმრავლობა იყო: საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის" გათამაშების მერვედფინალური წყვილების და პირველი ლიგის კალენდრის კენჭისყრას გუნდების და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პრესკონფერენციაზე ლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა** საქართველოს ჩემპიონატის ფორმატის რეფორმაზეც ისაუბრა, რაც მკითხველმა უკვე იცის და მასზე დიდხანს აღარ შევჩერდებით – უმაღლესი ლიგა 11 გუნდით დაკომპლექტდება, პირველი ლიგის დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში ასევე 11-11 გუნდი განაწილდება, გაისად უმაღლესში 10 გუნდი ჩაერთვება; ლიგიდან 3 გავარდება და 2 შემოვა, პირველ ლიგიდან კი 2 გავარდება და მათ ადგილებს რეგიონალლიგელები დაიკავებენ.

„დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშების" მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრამდე გუნდები კალათებად გადანაწილდნენ – პირველ კალათაში საუკეთესოები მოხვდნენ - "დინამო", "ვიტ ჯორჯია", "ზესტაფონი" , რუსთავის "ოლიმპი", "ამერი", ბოლნისის "სიონი", "ლოკომოტივი" და ცხინვალის "სპარტაკი".

მერვედფინალური ეტაპის მატჩები 8, 9 და 10 აგვისტოს გაიმართება, ხოლო საპასუხო შეხვედრები 16 და 17 აგვისტოს.

ლიგამ „ვიტ ჯორჯიას" სამართლიანად გაუწია ანგარიში – ვეტერინარები 14 აგვისტოს უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ვენის „აუსტრიას" ხვდებიან და უკეთესი მოსამზადებელი პირობები რომ შეექმნას, სათასო მატჩი ერთი დღით ადრე, 8 აგვისტოს დაუნიშნეს.

**"ვიტ ჯორჯია" - "სამტრედია" 8-17 აგვისტო**

**"დინამო" - თბილისის „თბილისი" - 10 - 16 აგვისტო**

**"ზესტაფონი" - "ჩიხურა" - 9-16 აგვისტო**

**"ოლიმპი" -"ბაია" - 9-16 აგვისტო**

**"ამერი" - "გურია" - 9-17 აგვისტო**

**"სიონი" - "ფოთი"- - 9-17 აგვისტო**

**"ლოკომოტივი" - "ჭიათურა" - 9-16 აგვისტო**

**"სპარტაკი" - "მარტვილი" - 9-17 აგვისტო**

პროფლიგამ შეგნებულად მიიღო გადაწყვეტილება, რომ მეორე კალათაში გადანაწილებული კლუბები განმეორებით მატჩებს შინ ჩაატარებენ. ასეთი გადაწყვეტილება სუსტი კლუბების სტიმულირებას ემსახურება და ვნახოთ, რას მოიტანს.

აღნიშნული გრაფიკიდან მხოლოდ "ამერი"-"გურიის" მატჩებშია მოსალოდნელი ცვლილება. თამაშები 9 და 17 აგვისტოს დაიგეგმა, მაგრამ შესაძლოა, 8 და 17 აგვისტოს ჩატარდეს.

პირველი მატჩები დაიწყება 17:30 საათზე, განმეორებითები კი 16.45-ზე. ეროვნული ჩემპიონატის, პირველი ლიგისა და რეგიონალლიგების შეხვედრები კი აგვისტოში, ტრადიციულად, 17.00 საათზე დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი;
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
გია თვალაბეიშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ძველი მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# რატომ არ არის ბებია ბაბუა?

**დინამო-პანათინაიკოსი**
**(საქართველო)-(საბერძნეთი)**

**0:0**

**6.08. თბილისი. ეროვნული**
**3 000 მაყურებელი**

დინამო: ოვონო - ფირცხალავა, გ. კაშია, კრშკო, თომაშვილი - ოდიკაძე, ხმალაძე, ნერგაძე (67. ჯუისი), გველესიანი (77. ჯიშკარიანი) - სპასოევიჩი (66. ვანაძე), აკირემი

*სათადარიგოები: ლორია, ქანთარია, გუგავა, ქავთარაძე*

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი - ნილსონი, ვინტრა, გუმასი, სიმაო - ხრისტოდულოპოლუსი (73. კარაგუნისი), სპიროპულოსი, მატისი, ნინისი (50. ჟილბერტო სილვა), სალპინგიდისი - მანტციოსი (33. რუკავინა)

*სათადარიგოები: მალარსი, სარიეგი, კლეიტონი, გაბრიელი*

გაფრთხილება: გუმასი (42), ფირცხალავა (55), ქუისი (84)

გაძევება: ფირცხალავა (76. მეორე ყვითელი)

არბიტრი: პ. ბალაი (რუმინეთი)

**9** წთ: ოდიკაძემ საჯარიმოში ჩაკიდა, გველესიანმა ბურთი კარგად ვერ გაისწორა, სპასოევიჩს კი დამატებაზე მცველი ჩაუწვა.

**10** წთ: ოდიკაძის კუთხურს სპასოევიჩის თავური მოჰყვა, მაგრამ ბურთი კარს ოდნავ აცდა.

**11** წთ: ოდიკაძემ ბერძნების კარის ალება მოედნის ცენტრიდან შეეცადა - არაზუსტად.

**20** წთ: ოდიკაძის შორიდან დარტყმულს მცველი კუთხურზე იგერიებს.

**21** წთ: ოდიკაძის კუთხური, ნერგაძის თავური კარს მცირედ სცდება.

**30** წთ: საჯარიმოს ხაზიდან ჯარიმა სპიროპულოსმა შეასრულა - ბურთი კედელს მოხვდა.

**32** წთ: ოდიკაძის შორეული დარტყმა მეკარემ დაამინა.

**43** წთ: ჯარიმა ხმალაძემ ხელსაყრელი პოზიციიდან შეასრულა - კვლავ არაზუსტად.

**48** წთ: ოდიკაძემ ისევ მოაწოდა კუთხური, მეტოქის საჯარიმოში კრშკომ მიიღო ბურთი და აკირემი მოძებნა, მაგრამ მან არაზუსტად ითამაშა.

**57** წთ: სპასოევიჩი საჯარიმოს ხაზიდან სუსტად არტყამს.

**63** წთ: ხრისტოდულოპოლუსის გასროლა - ოვონო საიმედოა.

**68** წთ: ისევ კუთხური, ისევ ოდიკაძე, პასი საჯარიმოში ჯუისს, მისი თავურის შემდეგ ვანაძე ცდილობს ბურთი კარში გაგზავნოს, მაგრამ მეკარემ ხელი შეუშალა.

**72** წთ: როგორც იქნა, ოდიკაძემ ძლიერად დაარტყა, გალინოვიჩმა ბურთი დაამინა.

**75** წთ: ოდიკაძე-ვაწაძის კომბინაცია აკირემმა დარტყმით ვერ დაასრულა.

**76** წთ: კარაგუნისთან ბრძოლაში ფირცხალავამ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა.

**84** წთ: კარაგუნისმა 20 მეტრიდან არაზუსტად დაარტყა.

**90** წთ: კარაგუნისის ჯარიმა, ბურთი კარს ასცდა.



მათე ვაწაძემ პანათინაიკოსს ვერ გაუტანა

**მათიას ზამერმა იოხიმ ლიოვს** და გერმანიის ნაკრების წევრებს ერთი ამბავი აუტეხა - ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი ისე აღნიშნეთ, თითქოს ჩემპიონები გახდით; ბუმბერაზი ერის შვილებს არ გრცხვენიათო?

გერმანელისთვის ეს ბუნებრივი მდგომარეობაა - ზამერს და გულშემატკივარს შეუძლიათ, ნაკრებს მხოლოდ ჩემპიონობა, მხოლოდ მოგება და მხოლოდ წინსვლა მოსთხოვონ და მათთვის მეორე ადგილიც წარუმატებლობას ნიშნავს.

ასეა ყველა წარმატებული ნაკრებისა და გუნდისთვის. ჩვენ კი ვართ ქვეყანა, რომლის ნაკრებიც ბოლო წლებია, ჯგუფში ბოლო ადგილებზე „გრიმიტობს" და ევროთასებზე მეორე წრეს არ გასცდენია.

ასეთი ქვეყნის ჩემპიონის „პანათინაიკოსთან" საშინაო ფრე უნდა გვიხაროდეს, წარმატებად მივიჩნიოთ თუ უნდა ვიტიროთ, რომ თავდადებისა და ბრძოლის მიუხედავად, ჩვენები ფრეზე მეტს ვერ აღწევენ?

ის კი ნაღდად ვიცი, რომ ქართული ფეხბურთის სახელი ძალიან გაუფასურდა. მაგალითად გუშინდელი ტრიბუნებიც გამოდგება: ევროპაში საკმაოდ ცნობილი კლუბის და მასში მოთამაშე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების სანახავად სტადიონზე 3 ათასი მაყურებელი თუ მოვიდა.

ჩვენი ფეხბურთი ჩაკვდა და თავს ნუ მოვიტყუებთ - სახლში „პანათინაიკოსთან" ფრე დღევანდელ ვითარებაშია გასახარი, „დინამო" შარშანდელივით არ შერცხვა (როდესაც ვენის „რაპიდმა" ალიყური გვითავაზა 0:3, 05), ორივე თამაში არ წააგო, ჯამში მხოლოდ სამი ბურთი გაუშვა და ა.შ.

ლამის საუკუნის განმავლობაში სტაბილურად ძლიერი გუნდები გვყავდა და ევროპას თუ არა, ყოფილ საბჭოეთში (ნახევარ ევროპაში) ანგარიშს გვიწევდნენ. ამ გადასახედიდან კითხვა იბადება - ეს არის პიკასოს ბიჭი? ვერასდროს ვიქნები ბედნიერი იმით, რომ არ შევრცხვით, რადგან გუშინ ვერ ვნახეთ გამარჯვებული ქართველობა.

გამარჯვების დავიწყებული გემო იურმალაში გავიხსენეთ, მაგრამ ამ ტალღამ გადაიარა და საქართველო და მისი ფეხბურთი ჩვეულ ტალღაზე გადაერთო, სადაც ხალხი უკვე შეეჩვია წაგებას და „ღირსეული წაგება" ახარებს.

ერთი, რაც გასახარი იყო - „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა შემტევი, აქტიური ტაქტიკა შეარჩია და ორი თავდამსხმელი დააყენა.

ისიც კარგი იყო, ათენში 3:0 მოგების მიუხედავად, ბერძნულმა ტელეკომპანიამ მატჩისადმი ინტერესი სიურპრიზის შიშით რომ არ დაკარგა და სტადიონზე მრავალი ბერძნული კომპანიის სარეკლამო ბანერი იყო.

კი, ეს ყველაფერი იყო, მაგრამ არ იყო 21-ე საუკუნის შესაფერისი ფეხბურთი, ისეთი, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ რომ გინდა იხილო. ტემპი? უბრალოდ, ბიჭები მონდომებით დარბოდნენ, მაგრამ სად იყო სისწრაფე და მაღალი ოსტატობა?!

ისიც ვაღიაროთ, რომ ბერძნებმა თავი არ მოიკლეს, 3:0-ის შემდეგ, ძალების მაქსიმალური დაზოგვით ცდილობდნენ ფონს გასვლას და ეს მოახერხეს კიდეც.

კამათი კი ყველაფერზე შეიძლება - ეს ბურთი რომ გასულიყო, ბებია რომ ბაბუა ყოფილიყო და ა.შ.

სამწუხაროდ, „ის" ბურთი არასდროს გადის, ბებია ბაბუად ვერ იბადება და „რატომღაც" ქართული ფეხბურთი ბოლო სამი ათეული წელია, წარუმატებელია.

ახლა იმის თქმაც უადგილოა, რომ მსაჯმა **ფირცხალავა** უსამართლოდ გააგდო. რომ არ გაეგდო, გოლი მომწიფებული იყო?

არ არის ბატონო ეს ბებია ბაბუა და მომკალით.

არ არის ეს ბიჭი პიკასოსი და მომკალით.

არ არის ეს ფეხბურთი 1981 წლის მემკვიდრეთა შესაფერისი და მომკალით.

ლუქსემბურგის „ეტცელამ" თბილისის „ლოკომოტივთან" რომ მოიგო, ამის შემდეგ რამენსკოეს „სატურნთან" 0:7 წააგო. მატჩის შემდეგ ერთი რუსი ჟურნალისტის რეპლიკა დამამახსოვრდა – ნეტავ, ეს „ლოკომოტივი" რაღა გუნდია, მესხის, მეტრეველის და ყიფიანის მემკვიდრეები ლუქსემბურგთან როგორ აგებენო?

აი, ამ ხალხის საფეხბურთო მემკვიდრეობას პატივს რომ ვცემ, იმიტომაც ვამბობ - „პანათინაიკოსთან" ფრე არ გამხარებია. ჩვენ, ქართველებს, მოგება გვწყურია და არა ფრე.

დაძაბუნებული ერის ფსიქოლოგიას რაც უფრო მალე მოვიშორებთ, მით უკეთესი. ბოლოს და ბოლოს, იმ დალოცვილმა გერმანელებმა ევროპის ვიცე-ჩემპიონობას მიაღწიეს და ზამერს ფინალის წაგება ეწყინა და მე ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩემი ქვეყნის ჩემპიონის გამოვარდნა უნდა მიხაროდეს?!

ასე თუ გავაგრძელეთ, მალე "მხოლოდ" მცირე ანგარიშით წაგებებიც გაგვიხარდება.

ბებია ბაბუა ვერასდროს გახდება, მაგრამ შეიძლება, ათასში ერთხელ მაინც "ის" გოლი გავიდეს, თუკი გერმანელებივით, მხოლოდ მოგება გაგვახარებს.

**მერაბ მამულაშვილი**

## მატჩის შემდეგ

### პრესკონფერენცია

**ჰენკ თენ კეიტი (პანათინაიკოსი):**

- ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი არ ვარ. სუსტად ვითამაშეთ. უკეთ უნდა წარმოგვეჩინა თავი და ეს რომ შეგვიძლია მომდევნო მატჩებში დავამტკიცებთ.

მეტოქეზე ძლიერი ვიყავით, თუმც „დინამომ" კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**რაინერ ცობელი (დინამო):**

- „პანათინაიკოსი" დამსახურებულად გავიდა მომდევნო რაუნდში, მაგრამ მის წარმატებაში გამართლების მომენტებიც იყო.

მსაჯებთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს. ერთ ეპიზოდში აკირემის წაქცევისთვის არბიტრმა მეტოქის მცველს წითელი კი არა, ყვითელი ბარათი უჩვენა. არბიტრს დავეკითხე და მიპასუხა, აკირემი კარისკენ კი არა, ფრთისკენ გარბოდა და ათენელთა მცველს წითელი ბარათი ამიტომაც არ ვუჩვენეო.

პირველ ტაიმში ერთი-ორი გოლი უნდა გაგვეტანა.

სამწუხაროა, რომ დღევანდელი მატჩი უფრო მეტმა გულშემატკივარმა არ ნახა. ვფიქრობ, „დინამომ" პირველ ტაიმში საუკეთესო თამაში აჩვენა.

რა დააკლდა „დინამოს" თუნდაც ერთი გოლისთვის? ცოტა იღბალი და ჭკუა მეტოქის კართან გარჯისას. ამაზე ჩვენ აუცილებლად ვიმუშავებთ. დანაკლისის გამო, იძულებით გადაადგილებებს მივმართეთ. ჩვენმა დაცვამ ფაქტობრივად უშეცდომოდ ითამაშა. წინა ხაზზე რომ უფრო გამოცდილი და მაღალი კლასის ფეხბურთელები გვყოლოდა, ამ ბარიერის დაძლევა შეიძლებოდა. დღესაც გამოჩნდა, რომ დანაკლისის მიუხედავად, ჩვენი გუნდი კარგადაა დაკომპლექტებული. მარცხენა მცველად თომაშვილმა ითამაშა, რომელიც ცაცია არ არის. მარცხენა მცველის გარდა, სხვა პოზიციის გაძლიერების აუცილებლობას ვერ ხედავ.

**მათე ვაწაძე:**

- ჩვენ 100%-ით მოვინდომეთ და დავიხარჯეთ. ცოტა მეტი იღბალიც რომ გვქონოდა და სპასოევიჩს ის საგოლე მომენტი გამოეყენებინა, სწრაფი გოლის შემდეგ უკეთ ვითამაშებდით და მატჩიც სხვა სცენარით წარიმართებოდა. დღესაც გამოჩნდა, რომ ევროპაში ნორმალურ დონეზე შეგვიძლია თამაში.

**დავით ოდიკაძე:**

- პირველ რიგში, დიდი მადლობა ქომაგებს ასეთი მხარდაჭერისთვის. ბიჭებმა მეტოქეს თავი შეაკლეს და „პანათინაიკოსს" ვაჯობეთ კიდეც. ვფიქრობ, მოგებას ვიმსახურებდით.

**დონალდ ჯიუსი:**

- ახალგაზრდული გუნდი გვყავს, მეტოქე კი მაღალი კლასის იყო, მაგრამ თავი არ დავზოგეთ და ბოლომდე ვიბრძოლეთ. რაც გამოვიდა, ყველამ ნახეთ. ათენში წაგებული 3:0-ის შემდეგ, მომდევნო ეტაპზე გასვლა ძნელი იყო.

**დავით ცაბაძე**

ფრიდონ გეგეშიძის ფოტოები



დინამო-პანათინაიკოსი

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების აკრედიტაციისთვის სპორტულმა ჟურნალისტებმა უნდა მიმართონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურს პარასკევის, 8 აგვისტოს ჩათვლით.**

**სფფ-ის პრესცენტრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# რა საძირკველი ელის კუპერს


ექტორ კუპერი

**ხვალ ექტორ რაულ კუპერი** თბილისში ჩამოვა და საქმეს შეუდგება. საქართველოს ეროვნული ნაკრების ბოლო თხუთმეტი მატჩის ვიდეოჩანაწერი, ინტერნეტული მასალა, რეკომენდაციები და შემეცნებითი საუბრები - სენიორ კუპერი ყველაფერ ამით ალიჭურვება და დამრეც გზას შეუყვება.

საქართველოს ნაკრების ყოველი ახალი მწვრთნელი თავისებურ ილუზიას იწვევდა - ახალი კაცი, ახალი აზრი, ახალი იმედი. ეს პერიოდი უკვე ჩავლილია, მუდმივი გაწბილება ყოველგვარ ეიფორიას მოერია. თუმცა ამასაც აქვს დადებითი მხარე: გონება უფრო ცივია და გულშემატკივარიც უფრო რაციონალურად უყურებს ყველაფერს.

როგორც ყველა მწვრთნელი, კუპერიც ალბათ მეკარით დაიწყებს, თუმცა როგორ უნდა დაიწყოს? არ ჩანს ისეთი მეკარე, რომელზეც ვიტყოდით, ამ დროისთვის ნაკრებში ყველაზე უფრო მას ეკუთვნის ადგილი-თქო. **გიორგი ლომაია** ისევ უგუნდოდაა, **ნუკრი რევიშვილს** ყაზანის „რუბინში" არ ათამაშებენ; არა გვგონია, კუპერმა **გიორგი მაკარიძეს** უხმოს ქვეყნის უპირველეს გუნდში - მაკარიძეს ხომ ჯერ ეროვნულ ჩემპიონატშიც არ უწევს თამაში. არ მოხერხდა უცხოელი მეკარის ნატურალიზება და ვინ უნდა ჩააყენოს კარში კუპერმა?

ექტორ რაულის პრობლემა აქედან დაიწყება. დაცვაში ბევრად უკეთესად არის საქმე. **კახა კალაძე** და **ზურაბ ხიზანიშვილი** ნაკრებში დიდ კონკურენციას ვერ აწყდებიან, თუმცა ახალი მწვრთნელისთვის თავის მოწონება მათაც მოუწევთ. უთამაშებლობის და ტრავმიანობის შემდეგ, ძალიან საინტერესოა, როგორ ითამაშებს **ოთარ ხიზანეიშვილი** მეორე ბუნდესლიგის „აუგსბურგში". კუპერი ალბათ **გიორგი შაშიაშვილითაც** დაინტერესდება. ვისაც შაშიაშვილის გოლი ახსოვს **ჯანლუიჯი ბუფონის** კარში, ალბათ არ იდავებს იმაზე, რომ შაში კლასიანი მცველია. ეს არ იყო ისეთი შემთხვევა, როცა ბურთი კარგად მოგაჯდება ფეხზე და კარში შეფრინდება - შაშიაშვილმა ყველაფერი ჩინებულად შეასრულა.

ძალიან საინტერესოა, რა გათვლას გააკეთებს კუპერი **მალხაზ ასათიანზე.** ნიჭიერი ფეხბურთელი ნებისმიერი მწვრთნელისთვის ძალიან ფასეულია, მაგრამ ასათიანი ბოლო დროს ვერ არის კარგ სიტუაციაში - ჩააგდო თამაშები ნაკრებში და ვერც მოსკოვის „ლოკომოტივში" ჩაუქობს. მას არ უყვარს დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება, თუმცა თუ იშტაზეა, შეუძლია, ბეკენბაუერივით ითამაშოს.

მწვრთნელი მოვიდა, ყველა კარგ ფეხბურთელს მოუძებნის ადგილს გუნდში, მაგრამ ასათიანი განსაკუთრებული შემთხვევაა - 27 წლის ფეხბურთელი, რომელიც დიდ დატვირთვებს ერიდება.

**ილია კანდელაკი, ლაშა სალუქვაძე, ზაალ ელიავა, ალექსანდრე კვახაძე...** კუპერს არცთუ ცოტა მცველზე მოუწევს გულდასმით დაკვირვება, თუმცა მათ შორის ძნელად ალმოაჩენს სწრაფ განაპირა მცველებს, რომლებიც თამაშს გამოგიცოცხლებენ, შეტევას გაგილამაზებენ, ბურთს კარგად ჩააწოდებენ საჯარიმოში. კუპერის წინამორბედ **პეტარ სეგრტს** ასეთად **გიორგი ნავალოვსკი** მიაჩნდა - მახაჩყალის „ანჟიში" თამაშობს, არ არის რეკლამირებული ფეხბურთელი და ვინ იცის, რა თვალით შეხედავს მას კუპერი. არადა, ასეთი ტიპის მცველი მართლაც სჭირდება საქართველოს ნაკრებს.

„ლე მანის" ახალგაზრდულ გუნდში მოთამაშე **ამირან სანაია** ძალიან საინტერესო ცენტრალური მცველი ჩანს. ის სეგრტის ჯილაა ახალგაზრდულ ნაკრებში.

ერთი სიტყვით, კუპერს დაცვაში ჰყავს ბრგე და გამოცდილი ხალხი, ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ფეხბურთელები.

მაგრამ რა ვუყოთ მეკარეს? კუპერი გაუჩენელს ვერ გააჩენს, თუმცა მეკარის პრობლემასთან შეჭიდება კუპერის პირველი გამოცდა იქნება საქართველოს ნაკრებში - მან ან რომელიმე ახალგაზრდა მეკარეს უნდა დაადოს ხელი და თქვას, ეს ყმაწვილი ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობის არისო, ან ენდოს ისეთ კიპერს, რომლის ნდობა ძალიან ძნელია.

**დავით თავართქილაძე**



საქართველოს და რუსეთს ჟინიანი ასათიანი მოენატრა

ლეგიონერი. ინტერვიუ ლაშა სალუქვაძესთან

# მოსკოვს და პეტერბურგს თათარსტანის ჩემპიონობა ხელს არ აძლევს

**რუსული** ფეხბურთი, სანაკრებო თუ საკლუბო წინ მიდის. ეს ადრე იყო, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეული ფეხბურთელი რუსეთში თუ წავიდოდა, არცთუ წარმატებულ ტრანსფერად მიიჩნეოდა. ახლა კი ვითარება შეიცვალა - დიდმა ინვესტიციებმა რუსულ ფეხბურთს მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა.

ლაშა სალუქვაძის, დავით კვირკველიას და ნუკრი რევიშვილის „რუბინი" მიმდინარე რუსული პრემიერლიგის ლიდერია. ყაზანურ გუნდზე ბევრი მითქმა-მოთქმაა, თათარსტანის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი ახლა ზემოდან გადახედავს მოსკოვურ გრანდებს - „დინამოს", ცსკა-ს და „ლოკომოტივს" და ამას შეძლება უნდა.

საქართველოს ნაკრების მცველ სალუქვაძეს გუშინ დავურეკეთ ყაზანში და აქეთურ-იქითურზე ვესაუბრეთ.

- კარგ ფორმაში ვარ, მწვრთნელი პოზიციას ხშირად მიცვლის, თუმცა ეს პრობლემას არ მიქმნის. მეტწილად დაცვის ცენტრში და მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობ, ხანდახან მარცხენა მცველადაც.

**- „რუბინის" ყველა ქართველს არ მისდის საქმე კარგად...**

- კვირკველიამ მხოლოდ ბოლო ორი თამაში გამოტოვა და მომდევნო მატჩში ალბათ მოუწევს მოედანზე გასვლა. რაც შეეხება რევიშვილს, მუხლის ოპერაციის შემდეგ ნელ-ნელა შედიოდა ფორმაში, მაგრამ ახლახან საკვებისგან მოიწამლა და ჯერ ვერც კი ვარჯიშობს.

**- რუსეთში მოთამაშე თითქმის ყველა ქართველი ლეგიონერი იმას ამბობს, რომ „რუბინი" ჩემპიონი ვერ გახდება. საერთოდაც, რუსეთში ძალიან ცოტას თუ სჯერა თქვენი ჩემპიონობის. არადა, ნახევარი სეზონი მიილია და ისევ პირველ ადგილზე ხართ. რატომ არ სჯერათ რუსეთში „ყაზანის" ჩემპიონობის?**

- რუსეთის ჩემპიონატის რეკორდი დავამყარეთ - ზედიზედ შვიდი მატჩი მოვიგეთ. წინა რეკორდი მოსკოვის „დინამოს" ეკუთვნოდა - მიჯრით ექვსი გამარჯვება. თუ პრემიერლიგის ცხრილში ჩავიხედავთ, ყველაზე ცოტა, ორი წაგება გვაქვს. ის კია, რომ რეკორდული შვიდი მოგების შემდეგ მხოლოდ ერთი მატჩი მოვიგეთ და ბევრი ფრე ვითამაშეთ. რუსეთის ჩემპიონატი ძალიან დაძაბული და ძნელად პროგნოზირებადია, ყველა მოწინავე გუნდს უცდება ფეხი, სტუმრად თამაში ჩემპიონობისთვის მებრძოლ ყველა გუნდს განსაკუთრებულად უჭირს.

**- ამბობენ, „რუბინს" ადამიანური რესურსი არ ეყოფა ჩემპიონობისთვისო...**

- ასეთ მოსაზრებას არ ვეთანხმები. საკმაოდ გრძელი სკამი გვაქვს, კარგი და ამბიციური ფეხბურთელი იმდენი გვყავს, სამატჩო განაცხადში მოსახვედრადაც დიდი კონკურენციაა. მაგრამ საქმე ისაა, რომ მოსკოვის გუნდებს ხელს არ აძლევს „რუბინის" ჩემპიონობა, რასაც მსაჯების მხრიდან ჩვენდამი დამოკიდებულებითაც ვგრძნობთ. აქეთ მოსკოვი და პეტერბურგი, იქით კი პერიფერიული, თათარსტანის „რუბინი" - ასეთი დამოკიდებულებაა და ყველაზე უფრო ეს თუ შეგვიშლის ხელს ჩემპიონობაში.


ლაშა სალუქვაძე

**- „რუბინი" რა წყაროთი ფინანსდება?**

- თათარსტანის ბიუჯეტით - ყაზანის მთავრობა გვპატრონობს. აქ ეკონომიკური წინსვლაა, მშენებლობების ბუმია, თათარსტანი ხომ ძალიან მდიდარია ნავთობით. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისთვის სპორტი უმთავრესი პრიორიტეტია. თათარსტანის ჰოკეისტთა და ფრენბურთელთა გუნდი რუსეთის ჩემპიონია, კალათბურთშიც ერთ-ერთი საუკეთესოა, ფეხბურთში კი ჯერაც ლიდერები ვართ. ჩვენ საშინაო მატჩებზე 20 ათასი გულშემატკივარი მოდის.

**- მოკლედ, პირობებით და სიტუაციით კმაყოფილი ხარ და სხვაგან წასვლას არ აპირებ...**

- ვნახოთ, კონტრაქტი სეზონის ბოლოს მეწურება. ისე კი, აქ მართლაც ყველაფერია, ფეხბურთი რომ ითამაშო.

**- „რუბინში" არაერთი სახელოვანი ფეხბურთელია - სერგეი რებროვი, სავო მილოშევიჩი, სერგეი სემაკი, გიოქდენიზ ქარადენიზი... მათგან ვინ მიიჩნევა გუნდის ლიდერად?**

- ყველაზე გამორჩეული ალბათ სემაკია. ის რუსეთის ნაკრებშიც კი კაპიტანია და მართლაც აქვს ლიდერის თვისებები.

**- „რუბინის" მწვრთნელ ყურბან ბერდიევზე არაფერი გითქვამს...**

- კარგი პიროვნებაა, დისციპლინა ძალიან მაღალ დონეზე აქვს.

**- რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში ვლადივოსტოკის „ლუჩს" შეხვდით და ვერ მოიგეთ - 0:0.**

- დროში დიდი სხვაობაა, ვლადივოსტოკი რვა საათით არის ყაზანზე წინ და ამან ჩვენზე უარყოფითად იმოქმედა. „ლუჩის" ლევან გვაზავა კი ძალიან კარგ ფორმაშია. ის რომ არ ჰყავდეთ, თამაშს ვერ მოიგებენ.

**- ნაკრებზეც ვთქვათ... 20 აგვისტოს უელსთან ამხანაგური მატჩისთვის ექტორ კუპერს შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან არავინ შეგხმიანებიათ?**

- კი, დაგვირეკეს. მე და კვირკველიას გვითხრეს, მოსკოვში უნდა ჩახვიდეთ ბრიტანეთის ვიზისთვისო. მონვევა კი ჯერ არ მოგვსვლია.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირების ისტორია (გაგრძელება)

# აფრიკული ექსპანსია


სანტიაგო კანისარესი

## 1992 წელი

ამ დროისთვის სსრკ, როგორც სახელმწიფო, ალარ არსებობდა და ბარსელონის ოლიმპიადაზეც ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები ერთი გუნდის სახელით (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) წარდგნენ. იმდროინდელმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა სპორტზე, კერძოდ, ფეხბურთზეც მნიშვნელოვნად იმოქმედა. ბარსელონის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების გარეშე ჩაიარა, თუმცა ეს დიდი დანაკლისი არ აღმოჩნდა. საფეხბურთო ტურნირის უპირველესი ფავორიტი მასპინძელთა გუნდი გახლდათ - მანამდე ჩატარებულ ოლიმპიადებზე ფინალშიც რომ არ იყო გასული. ესპანელმა „ინჩასებმა" მთელი ტურნირის განმავლობაში მხურვალედ უქომაგეს საყვარელ გუნდს და მასპინძელთა ნაკრებმაც დამსახურებულად გააღწია ფინალში. მწვრთნელ **ვისენტე მეირას**, მართლაც, ჩინებული გუნდი ჰყავდა და ესპანეთის ნაკრების ბევრმა ფეხბურთელმა მომავალში სერიოზულ დონეზეც ითამაშა. მეკარე - **სანტიაგო კანისარესი**, მცველები - **ხოსეპ გვარდიოლა** და **ალბერტ ფერერი**, ნახევარმცველები - **ლუის ენრიკე** და **ემილიო ამავისკა**, თავდამსხმელები - **ალფონსო პერესი** და **კიკო ნარვაესი**, - ასეთი გუნდისგან ყველა ჩემპიონობას ელოდა და ასეც მოხდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მასპინძლებს ფინალში ერთობ გაუჭირდათ: პოლონეთის ნაკრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია უპირობო ფავორიტს. ამის დასტურად ფინალური მატჩის ანგარიშიც მოწმობს - 3:2 ესპანელთა სასარგებლოდ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ გამარჯვების გოლი მადრიდის „ატლეტიკოს" ფორვარდმა კიკო ნარვაესმა 90-ე წუთზე გაიტანა. ბარსელონის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე ესპანელ ფეხბურთელთა გარდა, კიდევ სამმა ახალგაზრდა მოთამაშემ გაიბრწყინა: **დემეტრიო ალბერტინიმ** (იტალია), **თომას ბროლინმა** (შვედეთი) და **კარლოს გამარამ** (პარაგვაი). თუმცა, კიკოს, გვარდიოლასა და ლუის ენრიკესთან ერთად, ტურნირის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი პოლონეთის ნაკრების 18 წლის ფორვარდი **ანჯეი იუსკოვიაკი** იყო.

## 1996 წელი

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ატლანტაში ჩატარებულ ოლიმპიადაზე საქართველომ პირველად იასპარეზა დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით. რა თქმა უნდა, მათ შორის არ იყვნენ ფეხბურთელები, თუმცა ამით ატლანტის ოლიმპიადას არაფერი დაჰკლებია. პირიქით - საფეხბურთო ტურნირზე იმდენი ვარსკვლავი თამაშობდა, სეულის ოლიმპიადა კი არა, ლამის ორი წლით ადრე, იქვე, აშშ-ში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი დაჩრდილა. ამის მიზეზი კი მარადიულ მეტოქეთა - არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებების მართლაც ზღაპრული შემადგენლობები იყო. ინტრიგას ის ფაქტიც მატებდა, რომ მანამდე ბრაზილიასა და არგენტინას ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე არ გაემარჯვათ (თითოჯერ იყვნენ ფინალში) და ნავსის გატეხვას ატლანტაში აპირებდნენ. სატურნირო ბადეც ისე იყო „გათვლილი", რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდებოდა, ფინალში არგენტინა და ბრაზილია უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ახლა კი ალბათ, დროა, ფავორიტების შემადგენლობებსაც გავეცნოთ. არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დანიელ პასარელამ**, სამის გარდა (**კლაუდიო კანიჯა, გაბრიელ ბატისტუტა, ფერნანდო რედონდო**), ნაკრებში ყველა უძლიერესი არგენტინელი ფეხბურთელი გამოიძახა: **ხავიერ ძანეტი, რობერტო აიალა, რობერტო სენსინი, დიეგო სიმეონე, მატიას ალმეიდა, ხოსე შამოტი, მარსელო გალიარდო, გუსტავო ლოპესი, არიელ ორტეგა, კლაუდიო ლოპესი, ერნან კრესპო.** ალარაფერს ვამბობთ ბრაზილიის ნაკრებზე, რომლის მთავარი მწვრთნელიც სახელოვანი **მარიო ზაგალო** იყო. მეკარე - **დიდა**, მცველები - **ალდაირი, რობერტო კარლოსი**, ნახევარმცველები - **ფლავიო კონსეისაო, ჟუნინიო, რივალდო**, თავდამსხმელები - **სავიო, ბებეტო** და... **რონალდო**! და აი, ასეთი ვარსკვლავთკრებული... მხოლოდ ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა! ამაში „დამნაშავე" კი ნიგერიის ნაკრები იყო, ყველა პროგნოზი „თავდაყირა" რომ დააყენა და გულშემატკივრებს სანუკვარი ფინალის (არგენტინა-ბრაზილია) ცქერის საშუალება მოუსპო. ყველაფერი, მართლაც, „არანორმალურ" ნახევარფინალში გადაწყდა, როცა ნიგერიამ შეუძლებელი შეძლო და ბრაზილიას, ფაქტობრივად, წაგებული მატჩი „შემოუტრიალა". თავად განსაჯეთ - პირველი ტაიმის მერე ბრაზილია 3:1-ს იგებდა; აფრიკელებმა მეორე ტაიმში ჯერ ანარიშში სხვაობა შეამცირეს, მერე კი ბოლო წუთზე **ნვანკვო კანუმ** მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა. უკვე ეს იყო სენსაცია, მაგრამ მთავარი წინ გველოდა: დამატებითი დროის მეხუთე წუთზე იმავე კანუმ „ოქროს გოლი" გაიტანა და თავის გუნდს ფინალის საგზური მოუტანა!

და აი, ფინალის დროც დადგა. არგენტინამ უპრობლემოდ მიაღწია გადამწყვეტ მატჩამდე და უმძიმეს ბრძოლაგადატანილ ნიგერიელებთან, ალბათ, წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას. შეხვედრის დასაწყისიც ამის დასტური იყო: კლაუდიო ლოპესმა მესამე წუთზე გახსნა ანგარიში, თუმცა ნიგერიელებმა პირველსავე ტაიმში გაათანაბრეს - გოლი ტანმორჩილმა მცველმა **სელესტინ ბაბაიარომ** გაიტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში 20 წლის ერნან კრესპომ კვლავ წინ გაიყვანა არგენტინა, რასაც აფრიკელთა ცენტრფორვარდმა **დანიელ ამოკაშიმ** („ბიზონსა" და „შავ ტანკს" რომ ეძახდნენ) გოლით უპასუხა. საყაიმო ანგარიში ბოლო წუთებამდე გაგრძელდა და ყველა დამატებითი დროის მოლოდინში რომ იყო, **ემანუელ ამუნიკემ** გოლი გაიტანა და... მატჩიც დასრულდა! აფრიკული გუნდებისთვის ეს პირველი საერთაშორისო გამარჯვება იყო და თუ ნიგერიის ნაკრების შემადგენლობას გავეცნობით, ამ წარმატებას მთლად სენსაციურიც არ უნდა დავარქვათ. უკვე ნახსენები ნვანკო კანუს, სელესტინ ბაბაიაროს (იმ დროისთვის 16 წლის რომ იყო - გჯერათ?), დანიელ ამოკაშისა და ემანუელ ამუნიკეს გარდა მწვრთნელ **ჯონ ბონფრერეს** თავის გუნდში არანაკლები დონის ფეხბურთელები ჰყავდა: **ტიჯანი ბაბანგიდა** (**შოთა არველაძის** გაცილებაზე კარგად ჩაპუტკუნებული რომ გვესტუმრა თბილისში), **ჯეი-ჯეი ოკოჩა, ვიქტორ იკპება, უჩე ოკეჩუკვუ, სანდი ოლისე, ტარიბო ვესტი, ვილსონ ორუმა.**

სხვათა შორის, ოლიმპიადამდე, ორი წლით ადრე, 1994 წლის 11 ივნისს ნიგერიის ნაკრებმა ამხანაგურ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს დიდი ანგარიშით (5:1) მოუგო. თითქმის იმავე შემადგენლობით ნიგერიამ ატლანტის ოლიმპიადაზე ჯერ ბრაზილია დაამარცხა, მერე არგენტინა და აფრიკელებს პირველი გამარჯვება მოუტანა. დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ ამ ოლიმპიადაზე ბევრი ახალგაზრდა ვარსკვლავიც გამოჩნდა - **რაული** (ესპანეთი), **ნუნუ გომეში** (პორტუგალია), **რობერ პირესი** (საფრანგეთი), **მარკ ვიდუკა** (ავსტრალია)...


ტიჯანი ბაბანგიდა


რონალდო





ხოსეპ გვარდიოლა


ნვანკვო კანუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა VS არგენტინა

# მესის უკან აბრუნებენ?

## ბარსელონამ სასამართლო მოიგო

გუშინ სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა "ბარსელონის" გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. ალბათ, ხვდებით, რომ საქმე ისევ და ისევ **ლიონელ მესის** არგენტინის ოლიმპიურ ნაკრებში გამოძახებას ეხება. ამ საკითხთან დაკავშირებით "ბარსელონასა" და არგენტინელებს სერიოზული უთანხმოება ჰქონდათ. კატალონიური გრანდი მესის ცოცხალი თავით არ უშვებდა, მაგრამ სამხრეთამერიკელებმა საქმეში ფიფა ჩართეს და უმაღლესი საფეხბურთო ორგანოს მხარდაჭერით ლეო პეკინში ჩაიყვანეს. ფიფას მესვეურებმა თქვეს, - 1994 წელს, საერთაშორისო ფედერაციის 198 წევრმა დადგენილება მიიღო, რის თანახმადაც კლუბები ვალდებულნი არიან 23-წლამდელი მოთამაშეები ოლიმპიურ ნაკრებში მიავლინონო. ფიფა გადაწყვეტილების მიღებისას სწორედ ამ გარემოებით ხელმძღვანელობდა. მაშინ **ჟოან ლაპორტა** იძულებული გახდა, მესი ჩინეთში გაეშვა, მაგრამ იმავე დღეს დაიმუქრა, ამ საქმეს ასე არ დავტოვებ და სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში ვიჩივლებო. პრეზიდენტმა მუქარა შეასრულა და ერთი კვირის თავზე შესანიშნავი შედეგიც მიიღო. სტატიის შესავალში მოგახსენეთ, რომ ტრიბუნალმა "ბარსა" გაამართლა. ეს ორგანიზაცია საკმაოდ საინტერესო მოტივით ხელმძღვანელობდა. მოსამართლეების თქმით, ფიფას ესა თუ ის წესი მაშინ არის ლეგიტიმური და შესასრულებლად სავალდებულო, თუ ის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ არის დამტკიცებული. როგორც გაირკვა, 23-წლამდელ მოთამაშეთა მივლინების ვალდებულება აღმასრულებელ კომიტეტს არ დაუმტკიცებია. ამიტომ არგენტინის ოლიმპიურ ნაკრებს არანაირი უფლება არ ჰქონდა, "ბარსელონის" ნებართვის გარეშე მესი პეკინში წაეყვანა.

რბილად რომ ვთქვათ, სპორტის საარბიტრაჟო კომიტეტმა ფიფა გაამტყუნა. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო იმით ხელმძღვანელობდა, რომ ოლიმპიური თამაშები ფიფას ოფიციალურ კალენდარში არ შედის. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ტრიბუნალის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში ფრიად საინტერესო პუნქტი წერია - ფიფასა და არგენტინის საფეხბურთო ასოციაციას მესის პეკინში წაყვანის არანაირი იურიდიული საფუძველი არ ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ტრიბუნალმა "ვერდერისა" და "შალკეს" მესვეურებიც გაახარა. გეცოდინებათ, ბრაზილიის ოლიმპიურმა ნაკრებმა გერმანელებს **დიეგო** და **რაფინია** წაართვა. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ფიფას დაბეჯითებით მოსთხოვა, კანონმდებლობა მოაწესრიგოს და სანამ ამ პრობლემას მოაგვარებს, არგენტინისა და ბრაზილიის საფეხბურთო ასოციაციებს სთხოვოს, უკანონოდ წაყვანილი ფეხბურთელები კლუბებში დააბრუნონ.

რამდენიმე დღის წინ, ლეო მესიმ მთელი საფეხბურთო სამყაროს გასაგონად განაცხადა: თუ სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალი "ბარსელონის" გამამართლებელ გადაწყვეტილებას მიიღებს, დაუყოვნებლივ ჩემს კლუბში დავბრუნდებიო. ეს დღეც დადგა. სასამართლომ "ბარსას" მხარე დაიჭირა. წესით, ლეო პირველსავე რეისის თვითმფრინავში უნდა ჩამჯდარიყო და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებულიყო, მაგრამ არგენტინელი სიტყვის შესრულებას არ ჩქარობს. ესპანელი, არგენტინელი, ჩინელი და სხვა ქვეყნების წარმომადგენელი ჟურნალისტების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, მესიმ ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გააკეთა. სამაგიეროდ, საკუთარი მოსაზრება არგენტინის ოლიმპიური ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერხიო ბატისტამ** გაგვიზიარა. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, სამხრეთამერიკელი სპეციალისტი საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების შესრულებას არ აპირებს. აი, რა განაცხადა მან:

*"სიმართლე გითხრათ, კანონმდებლობაში კარგად ვერ ვერკვევი. წარმოდგენა არ მაქვს, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო რა ორგანიზაციაა და რა გადაწყვეტილებებს იღებს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მესი არგენტინის ოლიმპიური ნაკრებიდან არ წავა. ის ტურნირის ბოლომდე ჩვენთან იქნება. ლეოს პირადად ვესაუბრე და მითხრა, რომ ოლიმპიადაზე თამაში სურს. არა მგონია, საარბიტრაჟო ტრიბუნალს მისი სურვილისა და ოცნების ჩახშობის საშუალება ან უფლება ჰქონდეს".*

ბატისტას მოკრძალებით ჰკითხეს: ასე კატეგორიულად რომ საუბრობთ, ალბათ, იმასაც ხვდებით, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება სავალდებულოდ შესასრულებელიაო?! არგენტინელთა დამრიგებელმა საკმაოდ უცნაური პასუხი გასცა:

*"საერთოდ ვერ ვხვდები, რაზეა კამათი. მესი არგენტინელია. არგენტინის ოლიმპიური ნაკრები კი პეკინის ოლიმპიადაზე ასპარეზობს. ვის აქვს უფლება, ადამიანს პატრიოტული ვალის მოხდაში შეუშალოს ხელი? კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ლეოს "ალბისელესტეში" თამაში სურს. არ ვიცი, ვის რა გეგმა აქვს ან ვინ რას ფიქრობს, მაგრამ მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ლეო არ დაგვტოვებს. კოტ დ'ივუართან პირველი ტურის შეხვედრაში ის ძირითად შემადგენლობაში იქნება და გამარჯვებაში ლომის წილს შეიტანს. ასე რომ, პირადად მე, საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება ნაკლებად მაინტერესებს. არგენტინელები არგენტინაზე უნდა ფიქრობდნენ და არა - სასამართლოს ვერდიქტზე".*

სერხიო ბატისტა მთავარი მწვრთნელია და ნაკრების წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე პირადად აგებს პასუხს. ამიტომ, მისგან ობიექტური პასუხის მიღება არც იყო მოსალოდნელი. წესით, არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტს, **ხულიო გრონდონას** უფრო რაციონალურად უნდა ელაპარაკა, მაგრამ ცნობილმა საფეხბურთო მოღვაწემ ეთიკის ყოველგვარი ნორმა დაარღვა და სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა: *"არ მაინტერესებს, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა რა თქვა. ჩვენ ფეხბურთს ვემსახურებით. ფეხბურთში წარმოქმნილი სადავო საკითხების გარკვევის ბოლო ინსტანცია კი ფიფაა. შვეიცარიაში ჩვენ გაგვამართლეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლეო მესი არგენტინის ოლიმპიურ ნაკრებში სრულიად კანონიერად იმყოფება. მის გაშვებას არ ვაპირებთ იმიტომ, რომ ჩვენი გუნდის თამაში სწორედ მესიზეა აგებული. ერთ დღეში პრესტიჟული ტურნირი იწყება და წამყვანი მოთამაშის გაშვების მოთხოვნა სრული უპასუხისმგებლობაა. მოკლედ, მესი ჩვენთან რჩება და ოლიმპიური ოქროს მედლის მოსაპოვებლად იბრძოლებს".*

ბუნებრივია, სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებამ კატალონიელებში აბსოლუტურად განსხვავებული გამოხმაურება ჰპოვა. "ბარსელონის" ხელმძღვანელობა აღფრთოვანებულია და სასამართლოს ხოტბას ასხამს. გუშინ ჟოან ლაპორტამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"დარწმუნებული ვიყავი, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ჩვენ გაგვამართლებდა. სხვაგვარად შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ ჩვენ მართლები ვიყავით. სასიხარულოა, რომ ყველაფერი ფიფას ბუნდოვან კანონმდებლობაზე არ არის დამოკიდებული. არსებობენ დემოკრატიული ინსტიტუტები, რომლებიც ყოველთვის სიმართლეს ემსახურებიან. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, ვერდიქტის აღსრულება სავალდებულოა. ასე რომ, მოვითხოვთ, მესის უახლოეს რეისზე ბილეთი აუღონ და "ბარსელონაში" გამოუშვან. თუ ჩვენს მოთხოვნას არ შეასრულებენ, ბრძოლას გავაგრძელებთ და უკვე ევროკავშირის სასამართლოში ვიმსჯელებთ. ფიფა ვალდებულია, საქმეში ჩაერიოს და ამჯერად ჩვენი უფლებები დაიცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ორგანიზაციის იურისტებს ლუქსემბურგში ჩასვლა და სასამართლოში გამოცხადება მოუწევთ. გამორიცხულია, "ბარსელონა" უკან არ დაიხევს და ყველაფერს გააკეთებს, რომ თავისი კანონიერი უფლებები დაიცვას. იმედია, არგენტინელები არ გაჯიუტდებიან. არც ჩვენ გვინდოდა ლეოს გაშვება, მაგრამ როცა ფიფამ დაგვავალდებულა, წინააღმდეგობა არ გაგვიწევია, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიიდან მოსული დირექტივის შინაარსს კატეგორიულად არ ვეთანხმებოდით. მოკლედ, მტყუანმართალი გარკვეულია. ახლა საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების აღსრულების დროა."*

საარბიტრაჟო ტრიბუნალის ვერდიქტს ფიფა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. უმაღლესი საფეხბურთო ორგანო იმედგაცრუებას ვერ მალავს. აი, რას ვკითხულობთ ოფიციალურ პრესრელიზში: *"იმედგაცრუებულები ვართ. არ გვეგონა, რომ საარბიტრაჟო სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა. საკამათო საკითხების გადაწყვეტისას ჩვენ ყოველთვის ნეიტრალურები ვართ, მაგრამ ისეთი ფონი შეიქმნა, თითქოს მიკერძოებული ვიყავით და არგენტინელები უსაფუძვლოდ გავამართლეთ. სამწუხაროა, რომ ტრიბუნალმა ოლიმპიური სულისკვეთება არ გაითვალისწინა და ტურნირს მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი წაართვა. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა, "ბარსელონის", "ვერდერისა" და "შალკეს" ხელმძღვანელობას მოვუწოდებთ, თავიანთი მოთამაშეები ოლიმპიადის დასრულებამდე კლუბებში არ დააბრუნონ."*

**ზეპ ბლატერმა** საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე ჟოან ლაპორტას დაურეკა. ამის შესახებ ესპანური გაზეთები იუწყებიან. "დიარიო ასის" ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ ფიფას პრეზიდენტმა "ბარსას" უმაღლეს ხელისუფალს უმორჩილესად სთხოვა, ლეო არგენტინელებს დაუტოვეო. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ლაპორტა ბლატერს რას უპასუხებდა. კატალონიური გრანდის ხელმძღვანელი სულაც არ ხუმრობს, როცა აცხადებს, რომ "ბარსელონა" უკან არ დაიხევს. შექმნილ საკამათო სიტუაციას ორი გამოსავალი აქვს: არგენტინელებმა ამბიციები და წყენა გვერდზე უნდა გადადონ და ლეო "ბარსას" დაუთმონ. თუ არა და, ლაპორტა ლუქსემბურგში ჩავა და ფიფას იმის გამო უჩივლებს, რომ ეს ორგანო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად არ მოქმედებს. კვალიფიციური იურისტების მტკიცებით, მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში, "ბარსელონა" აქაც გაიმარჯვებს და ფეხბურთში რევოლუცია მოხდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**



მანჩესტერ იუნაიტედი

# სერ ალექსი 11 ფეხბურთელის გარეშე

## მზადება ინგლისის სუპერთასის მატჩისათვის

ინგლისის ჩემპიონატის დაწყებამდე 11 დღე დარჩა. ამ უქმეებზე "მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისის სუპერთასის მატჩს გამართავს. მისი მეტოქე "პორტსმუთი" იქნება. "ეშმაკებს" სეზონის პირველ მატჩში ძირითადი შემადგენლობის ცხრა ფეხბურთელი არ ეყოლებათ. **უეინ რუნისა** და **მაიკლ ქერიკს** ვირუსი აქვთ. **ოუენ ჰარგრივსი, კრისტიანო რონალდო** და **ჟი სუნ პარკი** ტრავმებს იშუშებენ. **ლუი საას** მარტის შემდეგ არ უთამაშია. ფრანგმა თავდამსხმელმა, შეიძლება, "სანდერლენდს" მიაშუროს. **გარი ნევილი** ვერა და ვერ გამოჯანმრთელდა. გასული წლის თებერვლის შემდეგ, ვეტერანმა მცველმა მხოლოდ ორჯერ ითამაშა. მისი დაბრუნების თარიღი უცნობია. **ნანის** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს და პრემიერლიგის პირველ ორ ტურს გამოტოვებს. **ანდერსონი** ბრაზილიის ნაკრებშია მიწვეული და ოლიმპიადისათვის ემზადება.




სერ ალექს ფერგიუსონი

ჰარი რედნაპი

**სერ ალექს ფერგიუსონმა** ჟურნალისტებს აუწყა, რომ ნიგერიაში შეყრილმა ვირუსმა რუნი ძალიან დაასუსტა, იმდენად, რომ ფეხბურთელი მსუბუქადაც ვერ ვარჯიშობს. მიმომხილველებმა მწვრთნელის განცხადების სისწორე ეჭვქვეშ დააყენეს. "დეილი მეილის" კორესპონდენტი ახალგაზრდა თავდამსხმელს მანჩესტერის მახლობლად, გოლფის თამაშისას გადააწყდა. აქვე გეტყვით, რომ ტრავმების გამო, "პორტსმუთსაც" რამდენიმე მოთამაშე გამოაკლდება. ვერ ითამაშებს საყრდენი ნახევარმცველი **ლასანა დიარა** და თავდამსხმელი **ნვანკვო კანუ**. ცნობისათვის, ამ უკანასკნელმა კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბერნდ შუსტერი

რეალი

## იქ, სადაც 56 წელიწადია, არ ყოფილან...

"რეალს" წინასასეზონო მზადებისას ხშირად აკრიტიკებდნენ, რომ ფულის საშოვნელად შორეულ ტურნეებს აწყობდა და ფეხბურთელებს ხანგრძლივი მგზავრობით არაქათს აცლიდა. ამ ტრადიციას **ფლორენტინო პერესმა** ჩაუყარა საფუძველი. ყველას გახსოვთ, სამეფო კლუბი მაშინ აზიაში მიდიოდა და იაპონიასა და ჩინეთში ვარსკვლავების მაისურების ვაჭრობით იყო დაკავებული. წლების გასვლის შემდეგ ახალმა ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ეს მავნე ტრადიცია იყო და მოთამაშეებს სპორტული ფორმის გაუმჯობესებაში ხელს არ უწყობდა. მიუხედავად ამისა, წელს მადრიდის "რეალმა" ოკეანის გადალახვა მაინც გადაწყვიტა. გუშინ ესპანური გრანდი **რამონ კალდერონისა** და **ბერნდ შუსტერის** მეთაურობით ბოგოტას გაემგზავრა. კოლუმბიაში ისინი ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ და რამდენიმე ვარჯიშს ჩაატარებენ. აღსანიშნავია, რომ სამეფო კლუბს ამ ქვეყანაში 56 წელია არ უთამაშია. მიუხედავად იმისა, რომ მადრიდელთა მოწინააღმდეგე სანტა ფეს "ინდეპენდიენტე" იქნება, თამაშზე დასწრების სურვილი სხვა გუნდის გულშემატკივრებმაც გამოთქვეს. პირენეული გრანდის პრესსამსახურის ინფორმაციით, კოლუმბიაში არნახული აჟიოტაჟია და შეხვედრაზე დასასწრებად გულშემატკივრები შორეული ქალაქებიდან და სოფლებიდან მოიწევენ. ბუნებრივია, ბილეთი ყველას არ შეხვდება, მაგრამ ხალხს იმის იმედი აქვს, რომ მსოფლიო ვარსკვლავებს შორიდან მაინც მოჰკრავენ თვალს.

კოლუმბია არც იაპონიაა და არც ჩინეთი. ამ ქვეყანაში ხალხს ძალიან უჭირს. ამიტომ, ძნელად წარმოსადგენია, მადრიდელებმა მაისურების ვაჭრობით ხელი მოითბონ. პრინციპში, ისინი ამ მიზნით არც წასულან. რამონ კალდერონი სამხრეთ ამერიკაში სამეფო კლუბის საყმაწვილო საფეხბურთო სკოლების გახსნაზე სერიოზულად ფიქრობს და მიაჩნია, რომ ეს ვიზიტი პრომოუშენისთვის გამოადგება:

*"სამხრეთი ამერიკა ვარსკვლავების სამჭედლოა. აქ უამრავი დიდი ფეხბურთელი დაბადებულა და გაზრდილა, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ გაცილებით მეტი ნიჭიერი ბავშვი სხვადასხვა პრობლემის გამო უკვალოდ დაიკარგა. ჩვენ ამ კონტინენტზე საფეხბურთო სკოლების გახსნის პროექტზე ვმუშაობთ. ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩემი აზრით, ეს საქმე კარგად დამთავრდება. იმ შემთხვევაში, თუ სკოლებს შესაბამისად მოვაწყობთ, ნიჭიერი ბავშვები კარგად ივარჯიშებენ. მათ არც კვების პრობლემა ექნებათ, არც ჩაცმის და არც განათლების. ჩვენი გათვლით, ერთ-ერთ სკოლას სწორედ კოლუმბიაში გავხსნით. სამეფო კლუბის სტუმრობა ამ პროექტის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. თუ ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ჩვენ გვაქვს დაგეგმილი, სკოლებს ათასობით ბავშვი მოაწყდება და ამით ყველა მოგებული დარჩება".*

კალდერონისგან განსხვავებით, შუსტერს სულ სხვა ამოცანები და მიზნები აქვს. კოლუმბიაში ვიზიტი მან, რა თქმა უნდა, დღევანდელი შემადგენლობის მაქსიმალურად მოსამზადებლად უნდა გამოიყენოს. გერმანელმა სპეციალისტმა სამხრეთ ამერიკაში 18 შეგირდი წაიყვანა, მათ შორის, **რაფაელ ვან დერ ვაარტიც**. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა კონტრაქტი 2 დღის წინ გააფორმა და პირველი ვარჯიშიც ჩაატარა. რაფაელი კოლუმბიაში ყველაზე კარგი განწყობილებით გაემგზავრა. ის გუნდის ახალი წევრია და აბსოლუტურად ყველაფერი აინტერესებს.

შუსტერმა ოკეანის გაღმა შემდეგი ფეხბურთელები წაიყვანა: **დუდეკი, კოდინა, სალგადო, ჰაინცე, ტორესი, პეპე, ანტონი, დიარა, გუტი, ბაპტიშტა, რობინიო, რობენი, ვან დერ ვაარტი, ხავი გარსია, რაული, ვან ნისტელროი, სავიოლა და კალეხონი.**

**ილია ნიკოლაიშვილი**

ვეტერანი

## ვესტ ჰემმა ლიუნგბერგი გაუშვა

### კომპენსაციამ 6 მილიონი გირვანქა შეადგინა...

**ფრედი ლიუნგბერგი** "ვესტ ჰემს" გამოეთხოვა. "აპტონ პარკზე" გატარებული 12 თვის შემდეგ, კლუბმა მას ვადაზე ადრე გაუწყვიტა კონტრაქტი. შვედმა ნახევარმცველმა სოლიდური კომპენსაცია მიიღო. ლიუნგბერგს 6 მილიონი გირვანქა მიუთვალეს. ფეხბურთელს კვირაში 85 ათას გირვანქას უხდიდნენ. მას კონტრაქტში კიდევ ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი. ამავე დროს, ხელშეკრულებაში ჩადებული იყო პუნქტი, რომლის თანახმად, მომდევნო სეზონში 15 მატჩის ჩატარების შემთხვევაში, ლიუნგბერგის კონტრაქტი ავტომატურად გაგრძელდებოდა ერთი წლით.

შვედის ტრანსფერი ყველაზე წარუმატებელი გარიგებაა, რომელიც "ვესტ ჰემს" ოდესმე განუხორციელებია. ლონდონელებს ვეტერანი ვარსკვლავის შენახვა ერთი წლის განმავლობაში 13 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. ლიუნგბერგმა 25 მატჩი ჩაატარა. ესე იგი, თითოეული შეხვედრის სანაცვლოდ, მას 500 ათას გირვანქაზე მეტი (თითქმის ერთ მილიონ დოლარს) გადაუხადეს. ფრედრიკს არაფრით გამოუჩენია თავი. მისი წასვლით, "ვესტ ჰემმა" სახელფასო ბიუჯეტი საგრძნობლად შეამცირა. "ჩაქუჩებს" ფეხბურთელის გაშვების თაობაზე ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ გაუვრცელებიათ. ლიუნგბერგის აგენტები კი უკვე ახალ სამსახურს ეძებენ. ფრედრიკს ინგლისში დარჩენა სურს, თუმცა ესპანეთშიც სიამოვნებით ითამაშებდა.

ფეხბურთელის ასეთ დაღმასვლას ვერავინ წარმოიდგენდა. ლიუნგბერგი იმ "არსენალის" საკვანძო ფიგურა გახლდათ, რომელმაც 2003-04 წლების სეზონი დაუმარცხებლად ჩაატარა და ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ცოტა ხნის წინ, "მეთოფეების" გულშემატკივრებმა ფრედრიკი კლუბის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა შორის მე-11 ადგილზე დაასახელეს. "ვესტ ჰემმა" ის გასულ ზაფხულს, 3 მილიონ გირვანქად შეიძინა. "აპტონ პარკზე" გადასული ნახევარმცველი საკუთარი თავის აჩრდილს დაემგვანა. ლიუნგბერგი შვედეთის ნაკრებიდანაც კი წავიდა, რათა მთელი დრო კლუბისათვის დაეთმო, მაგრამ ვერც ამან უშველა.

აქვე გეტყვით, რომ "ვესტ ჰემის" კიდევ ერთ ვარსკვლავს, უელსელ თავდამსხმელს **კრეიგ ბელამის** ორთვიანი შვებულება ემუქრება. ის "იფსვიჩთან" ამხანაგური მატჩისას (5:3) დაშავდა. ბელამიმ მარჯვენა მუხლის მყესები დაიჭიმა. გასული სეზონის დასაწყისში კრეიგმა იმავე მუხლის მძიმე ტრავმა გადაიტანა. ერთი წლის წინ მას ოპერაციაც გაუკეთეს. ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, ბელამი მინდორს ნოემბრის დასაწყისში დაუბრუნდება.

**შალვა ბიბილაშვილი**



ფრედი ლიუნგბერგის კარიერა დასასრულს უახლოვდება

რომა

## ბაპტიშტა გზაშია?



ჟულიო ბაპტიშტა რომას უახლოვდება...

"რომა" და **ჟულიო ბაპტიშტა** ერთმანეთისკენ დაიძრნენ. თუკი ტრანსფერზე ადრე ჰიპოთეტურად საუბრობდნენ, ახლა საქმე გვაქვს ოფიციალურ შეთავაზებასთან. როგორც ბრაზილიელი ფორვარდის აგენტი **ერმინიო მენენდეში** გვაუწყებს, "ჯალოროსიმ" სამეფო კლუბს 12 მილიონი ევრო შესთავაზა. სეუ ერმინიო დარწმუნებულია, რომ გარიგება მალე შედგება. რაკი "რეალმა" **რაფაელ ვან დერ ვაარტი** იყიდა, შეუძლია, ბაპტიშტას ხელი დაუქნიოს, თუმცა მადრიდული გრანდის საბოლოო პოზიცია ჯერჯერობით უცნობია. თანახმაა კი 12 მილიონზე? ან იქნებ, არც უნდა ბაპტიშტას გაყიდვა? მოდით, აგენტს მოვუსმინოთ და დასკვნებიც აქედან გავაკეთოთ:

*"შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ იტალიური კლუბი უკვე დაუკავშირდა "რეალს" და ჟულიო ბაპტიშტას გაყიდვა შესთავაზა. საუბარია დაახლოებით 12 მილიონ ევროზე. ისიც შემიძლია გითხრათ, რომ სამეფო კლუბს აღნიშნული თანხა მთლად ადეკვატურად არ მიაჩნია. აი, ის კი არ ვიცი, რამდენად დიდია "რომას" დაინტერესება. თუ მათ გადაწყვეტილი აქვთ ბაპტიშტას ყიდვა, მაშინ იმისთვისაც მზად უნდა იყვნენ, რომ შეთავაზება გაზარდონ. სხვას ვერაფერს გეტყვით, რადგან უშუალოდ "რომას" წარმომადგენლებთან საქმე ჯერ არ მქონია, არც მე და არც ჩემს კლიენტს. ჟულიოს სხვა შეთავაზებებიც ჰქონდა, მაგრამ "რეალმა" ყველა უარით გაისტუმრა. ბაპტიშტა ბრაზილიის ნაკრების წევრია და შესაბამისად, ფასიც სერიოზული აქვს. სხვათა შორის, ის ხშირად ესაუბრება "რომას" მეკარე ალეშანდრე დონის, რომელიც მას იტალიისკენ ექაჩება. ბაპტიშტა ენთუზიაზმითაა სავსე, მაგრამ სადამდე ექნება ეს ენთუზიაზმი, არ ვიცი. და მაინც, დღევანდელ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, მგონია, რომ ტრანსფერი ახლოსაა".*

**გიორგი ბელაშვილი**

ტრანსფერი

## ფერარი ჯენოაში

**მატეო ფერარი** თითქოს "ინტერში" უნდა დაბრუნებულიყო, საუბრობდნენ "იუვენტუსის" ვარიანტზეც, ვიდრე "ბებერი ქალბატონი" **ოლოფ მელბერგს** შეიძენდა, მაგრამ საბოლოოდ "ჯენოაში" ამოყო თავი. ამ კლუბში ის 1997/98 წლების სეზონში თამაშობდა, ვიდრე "ლეჩეში" გადავიდოდა. გენუელები გამწარებულნი ეძებდნენ მცველს და ვგონებთ, კარგი არჩევანიც გააკეთეს. ფერარიმ "რომასთან" კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვა და თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო. ამდენად, "გრიფონის" მასში ცენტიც არ გადაუხდია.

გუნდის მწვრთნელი **ჯან პიერო გასპერინი** ფრიად კმაყოფილია. ის დარწმუნებულია, რომ ამ მომენტისთვის "ჯენოა" კარგადაა დაბალანსებული და წინა სეზონზე (მე-10 ადგილი) უკეთესი შედეგი უნდა აჩვენოს. ამის წინა პირობაა ის შთამბეჭდავი ტრანსფერები, რაც კლუბმა ამ ზაფხულს განახორციელა. შეგახსენებთ, რომ გასპერინის განკარგულებაში არიან "იუვენტუსის" ყოფილი ფორვარდი **რაფაელე პალადინო**, რომელმაც "მილანში" წასული ბომბარდირი **მარკო ბორიელო** უნდა შეცვალოს, პარმელი გარემარბი **ანდრეა გასბარონი**, რეჯინელი ნახევარმცველი **ფრანჩესკო მოდესტო**, უდინელი შუახაზელი **ჯანდომენიკო მესტო** და ფიორენტინელი მცველი **ალესანდრო პოტენცა**. ასე რომ, გასპერინის იმედებს სერიოზული საფუძველი აქვს.

**გიორგი ბელაშვილი**



მატეო ფერარი ჯენოას საკუთრებაა



ამხანაგური მატჩი. ფრანც ბეკენბაუერის თასი

# დამარცხებული, მაგრამ კმაყოფილი

**ფრანც ბეკენბაუერის თასის** მფლობელი "ინტერი" გახდა. **ჟოზე მოურინიოს** გუნდმა "ალიანს-არენაზე" დიდი კაიზერის მშობლიური კლუბი 1:0 დაამარცხა. "ბაიერნის" მესვეურები გულშემატკივრებს საფეხბურთო ზეიმს შეჰპირდნენ. რალაც დოზით, ზეიმი მართლაც შედგა, ერთმანეთს ევროპული გრანდები შეხვდნენ და ამას თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ მიუნხენურმა გრანდმა წააგო და აქ სრულყოფილ ზეიმზე ლაპარაკი ზედმეტია...

პირველი ტაიმი **იურგენ კლინსმანის** შეგირდთა ღია ვარჯიშს ჰგავდა, მოედნის ცენტრში ბურთის გორებით, რბილი ორთაბრძოლებით, მაგრამ - კარის გარეშე. "ბაიერნის" თავკაცმა ახალი ტაქტიკის პრეზენტაციაც მოაწყო. დაცვის ცენტრში მან სამი მცველი განალაგა, **ლუსიოს, დემიკელისისა** და **ვან ბუიტენის** სახით. ფლანგებზე **ლამი** და **ლელი**, ხოლო მოედნის ცენტრში **ალთინთოფი** გამწესდნენ.

ეტყობა, საფეხბურთო ღმერთმა მწარედ დასცინა კლინსმანს და ისიც იძულებული გახდა, სამი მცველისთვის მეოთხეც დაემატებინა. დემიკელისმა ტრავმა მიიღო და "ბაიერნის" თავკაცმა მის ნაცვლად ახალგაზრდა **კროოსი** შეუშვა მოედანზე, დაცვის ფუნქციები კი შუა ხაზის მოთამაშეებს შეუთავსა.

დაცვაში პრობლემები ჰქონდა მოურინიოსაც. "ინტერში" ტრავმირებულთა რიცხვი არ შემცირებულა, პირიქით, **მატერაცის** სახით ლაზარეთში კიდევ ერთი პაციენტი მოხვდა. და ისევე, როგორც ბოლო ამხანაგურ მატჩში, ჟოზემ უკანა ხაზი არგენტინულად დააწყო: **ბურდისოს** გვერდით საყრდენი ნახევარმცველი **კამბიასო** დააყენა. ზოგადად კი მოურინიომ მატჩი 4-3-3-ით დაიწყო. ცენტრფორვარდ **ადრიანოს** ფლანგებიდან **მანსინი** და **ფიგუ** ეხმარებოდნენ.

უთუოდ უნდა გამოვყოთ "ინტერის" ნახევარდაცვა, რომელიც მასპინძლებს საჯარიმოს სიახლოვეს არ აკარებდა. საკმარისი იყო, "ბაიერნს" შეტევის განვითარება ოდნავ დაეყოვნებინა, რომ "ნერაძურის" დაცვითი რესურსი ერთნახევარჯერ იზრდებოდა. ამ ხაფანგის წინააღმდეგ ბრძოლა კლინსმანის შეგირდებს ძალიან გაუჭირდათ.

გარდა იმისა, რომ "ინტერის" ნახევარდაცვა მეტოქეს მარწუხებში აქცევდა, სტუმარი უტევდა კიდეც. ერთი ეგ იყო, რომ მოურინიოს ბიჭებს ადრიანომდე ბურთის მიტანა უჭირდათ, განსაკუთრებით ფიგუს, რომელსაც ზუსტი პასის პრობლემა ჰქონდა. თამაშის სურათი ვერც შესვენებამ შეცვალა, თუმც ანგარიში მალევე გაიხსნა, თან საკმაოდ მოულოდნელად. ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას ლუსიომ ოდნავ დააყოვნა და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მანსინის **რენზინგისთვის** ბურთი თავზე გადაედო.

დაწინაურებული "ინტერი" ახლა თავად ცდილობდა ბურთის ცენტრში დაჭერას. კლინსმანი კი ჯიუტად არავის ცვლიდა. მიუნხენელთა შორის ყველაზე აქტიური იყო ლელი, ფლანგზე წინ და უკან დარბოდა, მაგრამ ცხადია, ტაბლოზე ციფრების შესაცვლელად ეს საკმარისი არ იყო. საკმარისი კი არა, "ბაიერნის" მცველთა ხშირ შემთხვევაში უაზრო გადაადგილება რენზინგს დამატებით თავსატეხს უჩენდა. როგორც იქნა, იურგენმა პირველი (თუ არ ჩავთვლით, დემიკელისის იძულებით გაყვანას) შეცვლა გააკეთა: ალთინთოფის ნაცვლად მოედანზე **იანსენი** შევიდა, რასაც, წესით, ფლანგური შეტევების გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ "ინტერი" მჭიდროდ იცავდა თავს და "ბაიერნიც" იძულებული გახდა, იერიშის აქცენტი ფლანგიდან ცენტრისკენ გადაეტანა. ამას რამდენიმე შორეული დარტყმაც მოჰყვა, მაგალითად, კროოსის მხრიდან, მაგრამ **ტოლდოსთვის** ისიც იოლი ნადავლი გახდა.

თამაშის ბოლოსკენ "ნერაძურიმ" საერთოდ უარი თქვა შეტევებზე და საკუთარ საჯარიმოსთან გამაგრდა. გერმანელთა ერთადერთ იარაღად კი ქაოსური ფლანგური ჩაკიდებები იქცა. მერე იმავე კროოსმა კიდევ ერთხელ სცადა ტოლდოს შეწუხება. ამჯერად, გაცილებით მეტი ჯაფა დაადგა ვეტერან მეკარეს, რომელმაც დაბალი კუთხიდან რთული დარტყმა "გამოაძრო".

"ბაიერნს" ვერც ახალგაზრდა **მიულერის** გამოსვლამ უშველა. ისე, ამ უკანასკნელმა მაინც შეძლო ბურთის გატანა, მაგრამ წამით ადრე არბიტრმა **პოდოლსკის** მხრიდან ხელით თამაში დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა. სხვათა შორის, თამაშის ბოლომდე რეფერიმ, ანალოგიურ სიტუაციებში, ორჯერ მიიღო "ინტერისთვის" სასარგებლო გადაწყვეტილება, რითიც მიუნხენელები აღაშფოთა, თუმც ამით არაფერი შეცვლილა.

მოკლედ, 1:0 "ინტერის" სასარგებლოდ. მიუხედავად გამარჯვებისა, მატჩი მოურინიოსაც ბევრ საფიქრალს დაუტოვებდა, აღარაფერს ვამბობთ კლინსმანზე, რომელიც... დიახ, კლინსმანი თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა:

*"ყველას უნდა ისეთ დიდ გუნდთან გამარჯვება, როგორიც "ინტერია". ვფიქრობ, მიუხედავად წაგებისა, დღეს კარგად ვითამაშეთ. ვცდილობდით სიტუცის გამწვავებას, მაგრამ "ნერაძური" თავს ორგანიზებულად იცავდა და ამ ზღუდის დაძლევა ძალიან ძნელი იყო. თანაც, ფიზიკურად ჯერ არ ვართ იმ დონეზე, რომ მეტოქე დიდხანს გვყოლოდა წნეხის ქვეშ. ერთი სიტყვით, ფეხბურთელების მოქმედებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მარცხი, ბუნებრივია, გულდასაწყვეტია".*

კმაყოფილი იყო მოურინიოც. საამისოდ, მას გაცილებით მეტი საბაბი ჰქონდა: *"ეს ჩვენთვის კარგი ტესტი იყო. ვეთამაშეთ ძალიან კარგ გუნდს, რომელსაც უპირატესობა ჰქონდა იმ მხრივ, რომ ჩვენზე ადრე დაიწყო სეზონისთვის მზადება. "ბაიერნი" მომეწონა ორგანიზებულობითაც. ჩვენ კი მეორე ნახევარში უკეთესად გამოვიყურებოდით. მნიშვნელოვანი იყო ბოლო 15 წუთი, როცა ვაჩვენეთ, როგორ კარგად გვეხერხება ბურთის შენარჩუნებაც. კმაყოფილი ვარ იმითიც, რომ გუნდს აშკარად ეტყობა პროგრესი და იმედი მაქვს, ჩემპიონატის დაწყებას კარგ ფორმაში შევხვდებით".*

**ბაიერნი-ინტერი 0:1**

**ბაიერნი:** რენზინგი, დემიკელისი (22. კროოსი), ლუსიო, ვან ბუიტენი, ზე რობერტო (69. ოტლი), ლელი, ალთინთოფი (69. იანსენი), ვან ბომელი, ლამი, კლოზე (74. მიულერი), პოდოლსკი.

**ინტერი:** ტოლდო, მაიკონი, ბურდისო, კამბიასო, მაქსველი, ხ. ძანეტი (90. სანტონი), სტანკოვიჩი (81. დაკური), მუნტარი (82. სუასო), ფიგუ (67. პელე), ადრიანო (63. კრესპო), მანსინი (78. ბალოტელი).

**გოლი:** 0:1 მანსინი (52)

გიორგი ბელაშვილი




დაპირისპირება

# ამაზრზენი

**ჟოზე მოურინიომ** წყალი აამღვრია. **"განსაკუთრებული კაცია" და ამ განსაკუთრებულობას ვერ უღალატებს.** მაშინ ის აღარ იქნება მოურინიო. უკვე ვწერდით "ინტერისა" და "იუვენტუსის" მწვრთნელთა დაპირისპირებაზე. დაპირისპირება ჟოზეს მიერაა პროვოცირებული. მან დასცინა "იუვეს", რომელმაც ლონდონის ტურნირზე "ჰამბურგთან" 0:3 წააგო - **კლაუდიო რანიერისთვის** მოგება მთავარი არ არის, 70 წლის კაცივით აზროვნებს, მისი დრო წავიდაო და რაღაც ამდაგვარი...

კაცმა რომ თქვას, საზაფხულო სამზადისი ნამდვილად არ არის ის დრო, როცა მწვრთნელი მაინცდამაინც მოგებაზე უნდა ფიქრობდეს. რანიერის ადვოკატობას არ ვაპირებთ, მაგრამ იმავე ლონდონის ტურნირზე "სინიორამ" ორი სხვადასხვა შემადგენლობა გამოცადა და იცოდა, რასაც აკეთებდა. ეს გახლავთ მზადების სპეციფიკა და განა, ყველა მწვრთნელი ასე არ იქცევა?

მოურინიოს კომპლექსები აწუხებს. **რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ის სწორედ წარმატებებმა დააკომპლექსა.** "ინტერში" მას ახლა თვითდამკვიდრების პერიოდი უდგას. ამისთვის, აუცილებლად **სჭირდებოდა** უსახელო "ბარისა" თუ "ალ აჰლის" დამარცხება. ჟოზემ დღესვე უნდა აჩვენოს, რომ უკვე რაღაცას **იგებს, თუნდაც** ამხანაგურ მატჩს. მისგან განსხვავებით კი **რანიერის არ** სჭირდება ამ "რაღაცის" დამტკიცება, **მიუხედავად იმისა,** რომ მის ბიოგრაფიაში დიდი გამარჯვებების **შესახებ ვერაფერს ამოიკითხავთ.**

**...და რანიერი აღმოჩნდა პირველი, რომელმაც ისურვა, რომ რაც ითქვა, დღესვე წარსულს ჩაჰბარდეს:** *"მე ვფიქრობ, უკეთესი იქნება, რომ დაპირისპირება შეწყდეს და იმედი მაქვს, ეს ჩაივლის ისევე, როგორც აგვისტოს მატჩები. მოურინიომ ყველას დაუმტკიცა, თუ რას წარმოადგენს, აჩვენა თავისი ხასიათი და კოლეგებისადმი აგდებული დამოკიდებულება. მან იცის, რომ რთულ სიტუაციაშია. ის სათავეში ჩაუდგა გუნდს, რომელმაც ზედიზედ ორი სკუდეტო მოიგო და ახლა, [illegible]განაც მინიმუმ ამ წარმატებების გამეორებას ითხოვენ. [illegible]გორც მან თქვა, ჩემი ცხოვრების "70-წლიანი" გამოცდ[illegible]ება მაძლევს იმის საშუალებას, რომ მოურინიოს პირვ[illegible]მა მივულოცო, თუკი რაიმე ტიტულს მოიგებს".*

ჟოზეს საქციელი არ მოუწონა იტალიურმა მედიამაც. აი, რას წერს **სტეფანო [illegible]გრესტი** "კორიერე დელო სპორტში": *"რანიერიზე თა[illegible]სხმა, როგორც მოვლენა, იყო სრული სიმახინჯე, ხოლ[illegible] ტონი და შინაარსი - ამაზრზენი. უნდა გამოვტყდე, [illegible]მ კოლეგის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება ჩემთ[illegible]ს სრულიად უცხოა, არსად გამიგია, არსად წამიკ[illegible]ხავს, მით უმეტეს, ისეთი პროფესიონალის მხრიდან, რ[illegible]ორიც მოურინიოა. და არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ, [illegible]ლანი, იტალიაში ვცხოვრობთ. დიდი შეცდომა იყო მი[illegible]თება რანიერის ასაკსა და ტიტულებზე. **ასევე დიდ სი[illegible]ნჯედ უნდა ჩაითვალოს კოლეგის მიმართ ამპარ[illegible]ვნული დამოკიდებულებაც - პრიემიერლიგის გამო[illegible]ილება და იქ მოგებული ჯილდო[illegible]ო, ხაზს რომ უს[illegible]ამს მოურინიო. მოგვეცით ნება, დავადასტუროთ - არავინ ცდილობს, დააწესოს ცენზურა ხუმრობაზე, მაგრამ კამათის დროს ოპონენტისადმი პატივისცემა არ დავივიწყოთ.** სხვანაირად რომ ვთქვათ, მოურინიომ მცირე ბიძგს სახეში იდაყვის ჩარტყმით უპასუხა. ის თავს დაესხა რანიერის და საერთოდ, ადამიანურ ურთიერთობებს, ეტიკეტს. კარგი იქნება, თუ "ინტერის" ადმინისტრაციაში აღმოჩნდება ვიღაც, ვინც მოურინიოს შეცდომებზე მიუთითებს. იმედია, ამას პირველი მასიმო მორატი გააკეთებს, რადგან მას ამ საკითხებში არასოდეს არაფერი შეშლია".*

უფრო ადრე მოურინიოს გესლი **ლუიშ ფელიპე სკოლარისაც** მოხვდა, როცა "ჩელსის" მწვრთნელად დაინიშნა - ეგ ჩემს გზას ვერ გაივლისო. არავინ იცის, რა წარმატება თუ ფიასკო ელის "დიდ ფილს" "სტემფორდ ბრიჯზე", მაგრამ ხომ თქვა ჟოზემ, რაც უნდოდა. მთავარიც ეს არის. სხვათა შორის, ინგლისური პრესა ხშირად ადარებს სკოლარის მის წინამორბედს. სკოლარის კი ეს აშკარად არ სიამოვნებს. "სანთან" ინტერვიუში ფელიპამ კოლეგა საინტერესოდ დაახასიათა:

*"მე არ ვარ ჟოზე მოურინიო და არ მესმის, რა მსგავსებას ხედავთ ჩვენ შორის?! ის ამბობს, 10 ჩემპიონატი მოვიგეო. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მე უფრო თანამედროვე ვარ, ვიდრე მოურინიო. ბრაზილიის სამხრეთში დავიბადე და ჩემი კულტურა არ მაძლევს უფლებას, ხშირად ვიმეორო - მე მოვიგე ეს, მოვიგე ის... მე მხოლოდ ასე ვამბობ: მუდამ ვცდილობ, გამოვიყენო ჩემი ცოდნა წარმატებების მისაღწევად. ეს არის და ეს. მოურინიოს პრობლემაა ის, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე იმეორებს: მე ამას და ამას მოვიგებო, და მერე, როცა დანაპირებს ვერ ასრულებს, უფრო მეტი პრობლემა ექმნება, რადგან თამაშობენ ფეხბურთელები და არა მწვრთნელები. როცა გუნდი შეცდომას უშვებს, თქვენ ამბობთ - ამა თუ იმ მოთამაშემ ცუდად ითამაშაო, მაგრამ მე ამას არასოდეს ვამბობ არასოდეს! რაკი მწვრთნელი ხარ, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობაც უნდა აიღო... თუმც მოურინიო მოურინიოა. მისი კულტურა ჩემგან განსხვავებულია".*

გიორგი ბელაშვილი








ბუნდესლიგა. გასული სეზონის ლაურეატები

# რიბერი გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელია

## მწვრთნელებში ჰიტცფელდმა გაიმარჯვა

გერმანიის 2007/08 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად, ადგილობრივმა ჟურნალისტებმა, მიუნხენის "ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი **ფრანკ რიბერი** აღიარეს. ფრანგმა "კიკერის" გამოკითხვაში საკმაოდ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული შტუტგარტელ **მარიო გომესს** ჩამოართვა. ეს უკანასკნელი, გერმანიის 2006/07 წლების საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ. მეორე ადგილზე ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველი და გერმანიის ნაკრების კაპიტანი **მიხაელ ბალაკი** გავიდა. მესამეზე კი - ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი, "ბაიერნის" იტალიელი ფორვარდი **ლუკა ტონი.**

რიბერიმ, რომელმაც გასული სეზონი ევროპის ჩემპიონატზე მიღებული მძიმე ტრავმით დაასრულა, "კიკერის" გამოკითხვაში 224 ხმა მიიღო. ბალაკს 115 ხმა ერგო, ტონის კი - 108. *"ეს შესანიშნავი მიღწევაა და კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საუკეთესო ფეხბურთელები "ბაიერნში" თამაშობენ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ფრანკი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აირჩიეს. რიბერის გამარჯვება აბსოლუტურად გამართლებულია,"* - ეს სიტყვები რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** ეკუთვნის.

გამარჯვებული, რომელსაც ტიტულით ოფიციალურად 15 აგვისტოს, გერმანიის ახალი სეზონის გახსნის დღეს ("ბაიერნი"-"ჰამბურგი") დააჯილდოებენ, რეკორდმაისტერმა შარშან, მარსელის "ოლიმპიკიდან" 25 მილიონ ევროდ იყიდა. რიბერი ტონისთან ერთად მალევე გახდა "ბაიერნის" ქომაგების უსაყვარლესი ფეხბურთელი. მასთან ერთად მიუნხენურმა კლუბმა გერმანიის ჩემპიონატი და თასი მოიგო. ციფრებით რომ ვიმსჯელოთ, რიბერიმ 28 მატჩი გამართა, 11 გოლი გაიტანა და რვა საგოლე გადაცემა გააკეთა. "კიკერის" საშუალო შეფასება კი 2.54 ბალია, რაც ჩინებული შედეგი გახლავთ. ამ ყველაფერს ემატება უეფას თასზე - სამი და გერმანიის თასზე გატანილი 2 გოლი. შესაბამისად, რიბერი შეფასების მიხედვითაც საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ კრიტერიუმით ბუნდესლიგაში მეკარეები დომინირებენ ხოლმე.

რაც შეეხება მეორე ადგილზე გასულ ბალაკს, მან სეზონი საკმაოდ გვიან დაიწყო, რადგან თავიდან ტრავმირებული გახლდათ. მაგრამ დაიწყებისთანავე, საუკეთესო ფორმაში შევიდა. ბალაკმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა (მარცხი "მანჩესტერთან"), პრემიერლიგაში მისი "ჩელსი" ასევე ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა, მერე კი მიხაელი ევროპის ჩემპიონატზე ვიცე-ჩემპიონი გახდა (მარცხი ესპანეთთან). შეგახსენებთ, რომ ბალაკი გერმანიის სამგზის წლის საუკეთესო ფეხბურთელია. ამ ტიტულს ის 2002, 2003 და 2005 წლებში ფლობდა.

### ჰიტცფელდმა მაგათი უკან მოიტოვა

წლის საუკეთესო მწვრთნელად კი გერმანელმა ჟურნალისტებმა "ბაიერნის" ყოფილი მწვრთნელი, **ოტმარ ჰიტცფელდი** დაასახელეს, რომელმაც ჩვენი ალემანი კოლეგებისგან 264 ხმა მიიღო. როგორც იცით, ჰიტცფელდმა მიუნხენური გრანდი სეზონის დასრულებისთანავე დატოვა და ახლა შვეიცარიის ნაკრებს უდგას სათავეში, სადაც მან **იაკობ კუნი** შეცვალა. მეორე ადგილზე "ვოლფსბურგის" თავკაცი **ფელიქს მაგათი** გავიდა, რომელსაც 131 ხმა ერგო. მესამეზე კი - **რალფ რანგნიკი,** რომელმაც "ჰოფენჰაიმი" მეორედან პირველ ბუნდესლიგაში გადაიყვანა. სხვათა შორის, მეოთხე ადგილი "კოტბუსის" მწვრთნელმა **ბოიან პრასნიკარმა** დაიკავა. ამ უკანასკნელმა უსუსური "ენერგი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან სასწაულებრივად გადაარჩინა.

რაც შეეხება ქალი ფეხბურთელის ნომინაციას. აგერ უკვე რვა წელია, რაც ამ მხრივ მდგომარეობა არ იცვლება. გერმანელებმა წლის საუკეთესო ქალ ფეხბურთელად ზედიზედ მერვედ "ფრანკფურტის" თავდამსხმელი **ბირგიტ პრინცი** დაასახელეს. პრინცმა ამჯერად 200 ხმას მოუყარა თავი...

გოტფრიდ ლენცი



ოტმარ ჰიტცფელდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. მარიო ბასლერის ყოველწლიური პრევიუ. ჰერტა და ვოლფსბურგი

# ჰერტა სამარადისოდ ჩასვრილი გუნდია

## ჭკვიანი მაგათი კი ვოლფსბურგში იმპერიას აშენებს

## SUPER MARIO GIBT GAS



### ჰერტა მარიოს თვალით

**ძირითადი შემადგენლობა:** დრობნი, ჩაჰედი, ა. ფრიდრიხი, ფონ ბერგენი, შტაინი, კაჩარი, სისერო, ებერტი, პიეჩეკი, რაფაელი, პანტელიჩი.
**მწვრთნელი:** ლუსიენ ფავრი (50 წლის)
**მიზანი:** უეფას თასი.
**ადგილები წინა სეზონებში:** 2008: მე-10; 2007: მე-10; 2006: მე-6.
**პირველი სამი მატჩი:** აინტრახტი (სტუმრად), არმინია (შინ), ბაიერნი (ს)

### ვოლფსბურგი მარიოს თვალით

**ძირითადი შემადგენლობა:** ბენალიო, ძაკარდო, კოშტა, ბარძალი, შეფერი, რიტერი, ჟოსუე, გენტნერი (ან დეჟაგა), მარსელინიო, ჯეკო (ან მიშიმოვიჩი), გრაფიტე.
**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი (55 წლის)
**მიზანი:** უეფას თასი, ჩემპიონთა ლიგა.
**ადგილები წინა სეზონებში:** 2008: მე-5; 2007: მე-15; 2006: მე-15.
**პირველი სამი მატჩი:** კიოლნი (შინ), ბოხუმი (სტუმრად), აინტრახტი (შ)

**მარიო ბასლერი**, ბილდი

წარმატება ავადმყოფობა რომ იყოს, მაშინ "ჰერტას" გენერალური მენეჯერი, "პატივცემული" **დიტერ ჰიონესი** უკვდავი იქნებოდა. მისი "ჰერტა" არასდროს არაფერს წარმოადგენდა, ის დღესაც აბსოლუტურად არაფერს წარმოადგენს და დარწმუნებული ვარ, სანამ დიტერი ამ გუნდის მენეჯერი იქნება, "ჰერტა" ვერაფერს მიაღწევს.

იმისათვის, რომ რაღაც მაინც შეცვალოს, ტუნისელ ფორვარდ **ხერმენტის** ყიდულობს. სიმართლე გითხრათ, უკვე ყელში ამოვიდა ის, რომ "ჰერტას" ყოველწლიურად საიდანღაც მოჰყავს ვიღაც მოთამაშეები, თანაც ათობით და მერე, ვერც ერთი მათგანი ვერაფერს ახერხებს და სადღაც ისევ უკვალოდ ქრება. ყელში ამოვიდა ისიც, რომ ბერლინული კლუბი არც მეორე ბუნდესლიგაშივარდება და კარგ ადგილებს იკავებს. მუდმივად ერთ დონეზეა, მაგრამ დააკვირდით, ევროტურნირების საგზურის მოპოვებას რაღაც ხერხებით (მაგალითად, ამჯერად ფეარ პლეის პრინციპით) მაინც ახერხებს ხოლმე.

რატომ ვწერ ასე აგრესიულად? არა, ცუდ ხასიათზე სულაც არ ვარ, პირიქით, დღეს გენიალურ ხასიათზე ვარ, მაგრამ ასე აგრესიულად იმიტომ ვწერ, რომ ეს "ჰერტაა", რომელიც სხვანაირ შეფასებას არ იმსახურებს.

პირველი კითხვის ნიშანი **იოსიპ შიმუნიჩია**, ფეხბურთელი, რომელსაც თავში ყველაფერი დალაგებულად არ აქვს. ოთხი აბსოლუტურად უაზრო გა-





ძევება ბოლო სამ წელიწადში, ფეხების უშნოდ ქნევა და მეტოქე ფეხბურთელების ვანდალური ჩეხა – ეს ყველაფერი შიმუნიჩის დამახასიათებელი ნიშნებია. ეს მცველი ბერლინულ კლუბს ძალიან ბევრ ზიანს აყენებს და ჰიონესმა დღემდე ვერ მოახერხა, შიმუნიჩი გუნდიდან გაეძევებინა.

ახლა გუნდის კაპიტან **არნე ფრიდრიხსაც** შევეხები, რომელმაც ახლახან "ნუტელას" გაუკეთა რეკლამა. ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ამ ფეხბურთელს სისხლი ოდნავადაც არ უდუღს.

არადა, გუნდის კაპიტანი, "ჰერტას" წამყვანი ფიგურაა. არნეს ფეხბურთი იცით რას ჰგავს? ქალის მიერ დაპარკინგებულ ავტომობილს. ფრიდრიხი შეტევაშიც ცდილობს რაღაცას, დაცვაშიც, მაგრამ საბოლოოდ გამოდის შედეგი, რომლითაც თავს ვერავის მოაწონებ.

ბერლინში თამაშობს **მარკო პანტელიჩიც**, რომელიც სხვათა შორის, თავდამსხმელია. ეს უკანასკნელი ხუთწლიან კონტრაქტს ითხოვს 20-მილიონიანი ხელფასით. ამჯერად კი განაწყენებულია იმის გამო, რომ ბერლინელებმა ოლიმპიადაზე არ გაუშვეს. ჰეი, მარკო, თავი ვინ გგონია? პირადად მე, სიტყვები არ მყოფნის!

...და თვითონ ჰიონესი? დიტერი ორ წელიწადში პოსტიდან გადადგება და ძალიან უნდა, რომ მანამდე მისმა "ჰერტამ" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს. ჩემთვის უკვე ნათელია, რომ ბერლინელები ამ მიზანს ვერ მიაღწევენ და ალბათ, თქვენც იცით, რომ ასე იქნება. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ **ლუსიენ ფავრი** მალე "ჰერტას" თავკაცი აღარ იქნება. დიტერი კი ფიქრობს, რომ "ჰერტა" მსოფლიო დონის კლუბია თუნდაც იმიტომ, რომ ამას წინათ ბერლინში ჩასულმა **ტომ კრუზმა** შემთხვევით "ჰერტას" შარფი იყიდა. იცით, ბერლინი ისეთი ქალაქია, რომელსაც მართლა მაგარი გუნდი უნდა ჰყავდეს. ეს მარტო ჩემი კი არა, მთელი გერმანიის აზრია!

"ჰერტა" ძველ "ვოლფსბურგს" მაგონებს, იმ "ვოლფსბურგს", სადაც მხოლოდ ოცნებობდნენ და სხვას არაფერს აკეთებდნენ. ახლა კი "მგლებს" **ფელიქს მაგათი** ჰყავს. ეს უკანასკნელი კი იმდენად ჭკვიანია, რომ გუნდი გუნდს დაამსგავსა. შესაბამისად, ვოლფსბურგელთა ოცნებებიც რეალური გახდა. დესპოტმა ფელიქსმა, რომელიც მწვრთნელიცაა, მენეჯერიც და ფინანსების განმკარგველიც, პირველსავე სეზონში ბევრი საინტერესო ფეხბურთელი შეიძინა და აი, გუნდი უკვე უეფას თასზე თამაშობს. ფელიქსმა წელსაც ბევრი მოთამაშე იყიდა და მართალია, ახლა ფეხბურთელი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მაყურებელი საშინაო მატჩებზე, მაგრამ სამაგიეროდ, ახლანდელი შემადგენლობა გაცილებით ძლევამოსილია, ვიდრე - ორი ან სამი წლის წინანდელი "ვოლფსბურგის" შემადგენლობა.

მაგათმა ჩამოაყალიბა გუნდი, რომელსაც არც ერთი მეტოქის აღარ ეშინია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გუნდის შეფებმა მას სრული ძალაუფლება მიანიჭეს – რაც გინდა, ის აკეთეო. და ფელიქსიც აკეთებს! იტალიიდან მსოფლიოს ორი ჩემპიონი ჩამოიყვანა და დააკვირდით, გუნდში ახალი თარჯიმანი კი არ მოიყვანა, არამედ ეს მისია გუნდის ავტობუსის მძღოლს დააკისრა. ის ამით ამტკიცებს, რომ "ვოლფსბურგი" დაიქოქა, ყინული ადგილიდან დაიძრა. ფაქტია, რომ პირველ ხანებში **ანდრეა ბარძალი** და **კრისტიან ძაკარდო** მძღოლს კარგად გამოიყენებენ. არც ისაა გამორიცხული, რომ გასართობად ბერლინში წაყვანა მოსთხოვონ.

ერთი სიტყვით, "ვოლფსბურგთან" დაკავშირებით, იმედიანად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ ეს გუნდი რაღაცას მიაღწევს. ბარძალი და ძაკარდო კარგი შენაძენებია. ისინი დაცვას იტალიურად, კარგად გააძლიერებენ. თანაც ფელიქსს, **კოშტას** სახით, კიდევ ერთი სათადარიგო კარგი მცველი ჰყავს. ეს უკანასკნელი გასულ სეზონში სულ ტრავმირებული იყო. თავდასხმაში **გრაფიტე** სანდო კაცია, რომელიც ყოველთვის გაიტანს გოლს, თუკი მომენტს შეუქმნი. მომენტების შექმნაზე კი **მარსელინიო** და ახალწვეული **მიშიმოვიჩი** იზრუნებენ. საერთო ჯამში, "ვოლფსბურგი" იმიტომ ფუნქციონირებს და მომავალშიც იფუნქციონირებს, რომ მაგათი გუნდს მაგრად ავარჯიშებს.

პირადად ჩემთვის ყველაფერი ეს საკმარისია იმისათვის, რომ გუნდმა წარმატებას მიაღწიოს. ვფიქრობ, "მგლები" უეფას თასზე საკმაოდ შორს წავა, ბუნდესლიგაში კი მეოთხე ადგილს დაიკავებს. ფაქტია, გუნდი წინ მიდის და მომავალში კიდევ უფრო წინ წავა.

მოკლედ, მაგათი ალმაფრთოვანებს, დიტერ ჰიონესი კი - არა. და მოდი, საერთოდ ამ გუნდებს ადგილები გავუცვალოთ. "მგლებმა" დედაქალაქში იბრძოლოს და იქ ითამაშოს, სადაც ეკადრება, ბებერმა და სამარადისოდ დაუძლურებულმა "ჰერტამ" კი პროვინციაში გადაინაცვლოს.

მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ვილიარეალი

# პრეზიდენტი ღმერთთან ფულით საუბრობს

"ვილიარეალს" ერთი უცნაური ტრადიცია აქვს. ყოველი სეზონის დაწყების წინ ფეხბურთელები, მწვრთნელები და გუნდის ხელმძღვანელობა ქალაქის მეთაურებისა და ეკლესიის წინაშე ფიცს დებენ. ისინი სიტყვას იძლევიან, რომ თავდადებით ითამაშებენ და ყველაფერს გააკეთებენ დიდი წარმატებების მისაღწევად. ყველაფერი, რა თქმა უნდა, 40-ათასიანი ქალაქის გულშემატკივრების ბედნიერებას ემსახურება - ანუ, "ვილიარეალის" ფეხბურთელები აცნობიერებენ, რომ ინჩასები პრინციპული მატჩების მოგებით უნდა გაახარონ.

ერთი შეხედვით, ფეხბურთი და რელიგია ძალიან შორს არიან ერთმანეთისგან, მაგრამ ვილა-რეალში ამ მხრივ სულ სხვანაირადაა საქმე. გუშინ ქალაქის ეპისკოპოსმა მთელი გუნდი მიიღო და "ვილიარეალის" კეთილდღეობისთვის მესა აღავლინა. ეპისკოპოსმა უკლებლივ ყველა მოთამაშე დალოცა და **მანუელ პელეგრინის** გამძლეობა უსურვა: თქვენ მთავარი მწვრთნელი ხართ და განსაკუთრებული შემართება გმართებთო. ბუნებრივია, მესას კლუბის უმაღლესი ხელისუფალი, **ფრანსისკო როიგიც** დაესწრო. ეკლესიაში ის ხელცარიელი არ მისულა, სენიორ როიგმა ტაძარს 40 ათასი ევრო შესწირა და ამ თანხის სანაცვლოდ, მღვდელმთავარს კიდევ ერთი მესის გადახდა სთხოვა. ჩემპიონთა ლიგის დაწყების წინ ვილა-რეალის ეპისკოპოსი უფალს ქალაქის გუნდის წარმატებასა და კეთილდღეობას შესთხოვს.



ეკლესიიდან გამოსულ ფეხბურთელებსა და კლუბის ხელმძღვანელებს ჟურნალისტები მისცვივდნენ. ყველაზე საინტერესო განცხადება ფრანსისკო როიგმა გააკეთა: *"მე მორწმუნე კაცი ვარ და მჯერა, ღმერთი დაგვეხმარება. ეკლესიისთვის ფული არაერთხელ შემიწირავს და ქველმოქმედებას მომავალშიც გავაგრძელებ. ღმერთი აფასებს იმ ხალხს, რომელიც კეთილი საქმისთვის სახსრებს არ იშურებს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი უსაყვარლესი ეპისკოპოსის ლოცვა შეგვეწევა და დიდი გამარჯვებების მოპოვებაში დაგვეხმარება."*

ძალიან უცნაური მსჯელობაა, როგორც ჩანს, სენიორ როიგს სულის საცხონებლად ინდულგენციის შეძენა საკმარისად მიაჩნია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, ფულით ღმერთთან დიალოგი აქამდე ვერავის მოუხერხებია. ეს ადამიანებს ჰგონიათ, რომ თანხის შეწირვა წარმატების წინა პირობაა.

მადლობა ღმერთს, მანუელ პელეგრინი უფრო ცივილიზებულად აზროვნებს და ამბობს, რომ ღმერთი ფეხბურთთან არაფერ შუაშია: *"არა მგონია, უფალი მაინცდამაინც ჩვენ დაგვეხმაროს. სხვა გუნდებმა რა დააშავეს?! ეს, უბრალოდ, ლამაზი ტრადიციაა და მეც სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა. ღმერთი მხოლოდ მშრომელ ადამიანს გაუწვდის დახმარების ხელს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. თუ კარგად ვიმუშავებთ და ფორმას აღვიდგენთ, ჩემპიონთა ლიგაში სერიოზულ წარმატებებს მივაღწევთ. ნინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთი ვერ გვიშველის".*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ტოტენჰემი

# ფორლანი ინგლისში ბრუნდება?

## ზენიტთან მოლაპარაკებებს დასასრული არ უჩანს



დიეგო ფორლანი

"ტოტენჰემის" სატრანსფერო ამბიციებს ბოლო არ უჩანს. "მამლებმა" მადრიდის "ატლეტიკოს" თავდამსხმელ **დიეგო ფორლანს** დაადგეს თვალი. ფორლანისათვის ინგლისის ჩემპიონატის უცხო არ არის. 2002 წლის ზაფხულში, "მანჩესტერ იუნაიტედმა" ის არგენტინული "ინდეპენდიენტედან" გადაიყვანა. 2004 წლის ზაფხულში, ურუგვაიელი ლეგიონერი "ვილიარეალში" გაყიდეს. გასული სეზონის წინ ის "როხიბლანკომ" შეიძინა.

"ტოტენჰემი" ვესტჰემელი **დინ ეშტონითაც** დაინტერესდა. "მამლებმა" თანაქალაქელებს 15 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს. საქმე ისაა, რომ "ვესტ ჰემმა" ეშტონში აღებული თანხის 15 პროცენტი ფეხბურთელის ყოფილ კლუბ "ნორვიჩს" უნდა მიუთვალოს. ამიტომაც, ცდილობს, მაქსიმალური სარგებელი ნახოს. ეშტონი "ვესტ ჰემში" 2006 წლის ზაფხულში, 7.25 მილიონ გირვანქად ჩაიყვანეს.

"ტოტენჰემი" "ზენიტსაც" ესაუბრება, მაგრამ მოლაპარაკებები ჩაშლის პირასაა. პეტერბურგელები სანაცვლოდ 21 მილიონ გირვანქას ითხოვენ. "მამლებს" ამხელა თანხის გადახდა მიზანშეუწონლად მიაჩნიათ.

ლონდონელთა თავკაც **ხუანდე რამოსს** თავდასხმაში პრობლემის მოგვარების კიდევ ერთი გზა აქვს. მას შეუძლია, აქცენტი გააკეთოს **დარენ ბენტზე** - 24 წლის ფორვარდზე, რომელიც "ტოტენჰემმა" გასულ ზაფხულს, "ჩარლტონიდან" გადაიყვანა. ბენტი 16.5 მილიონ გირვანქად შეიძინეს. მას მძიმე სადებიუტო სეზონი გამოუვიდა. დარენს ტრანსფერზე დაყენებას უპირებდნენ, მაგრამ ფეხბურთელმა წინასასეზონო კამპანია საუცხოოდ ჩაატარა. თავად განსაჯეთ, საკონტროლო მატჩებში მან 10 გოლს მოუყარა თავი და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე აცხადებს პრეტენზიას. "ტოტენჰემის" კაპიტან **ჯონათან ვუდგეიტს** მიაჩნია, რომ თუ ბენტი ამ დონეზე გააგრძელებს თამაშს, მის გუნდს შეუძლია, თავდამსხმელში დიდი ფულის დახარჯვაზე აღარ იფიქროს.

და კიდევ ერთი მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ: "ტოტენჰემს" თვალში მოუვიდა "მანჩესტერ სიტის" ხორვატი მცველი **ვედრან ჩორლუკაც**. ეს უკანასკნელი 7 მილიონი გირვანქა ღირს. ლონდონელები ამ თანხის გადასახდელად მზად არიან. ტრანსფერი კვირის ბოლომდე უნდა განხორციელდეს. "სიტი" ჩორლუკას ადგილზე ნანსელ **მიკაელ კრეტიენს** ეპატიჟებოდა, მაგრამ ფეხბურთელმა ფრანგულ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ლივერპული

# ისევ ოთხი გოლი

## მერსისაიდელთა თავდასხმა აღარ ხუმრობს. ჯერარდი მინიმუმ ერთი კვირა დაისვენებს



სტივ ჯერარდმა შევბულება გამოიწერა

"ლივერპულმა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. ის ნორვეგიულ "ვოლერენგას" შეხვდა და 4:1 ასიამოვნა. მერსისაიდელებს წარმატება ძვირად დაუჯდათ: **სტივენ ჯერარდმა** ბარძაყის კუნთი დაიჭიმა და შვებულება გამოიწერა. "დეილი მეილის" ცნობით, ჯერარდი ლიეჟის "სტანდარდთან" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში ვერ ითამაშებს. ფეხბურთელი პირველსავე ტაიმში შეცვალეს. ნამატჩევს **რაფა ბენიტესმა** განაცხადა, რომ ჯერარდი ერთი კვირა ვერ ივარჯიშებს. ერთი კვირის შემდეგ, მას ექიმები დააკვირდებიან და გადაწყვეტენ, დართონ თუ არა მინდორზე დაბრუნების ნება. ბენიტესი ფეხბურთელის გამოჯანმრთელებას დაელოდება. მის არყოფნაში, მოედნის ცენტრში, **ჩაბი ალონსო** და **იოსი ბენაიუნი** ითამაშებენ (თუ ეს უკანასკნელი ახალ სამსახურში არ გადავა). ლივერპულელთაგან გოლები გაიტანეს **ფერნანდო ტორესმა, ალონსომ, დავიდ ნგოგმა** და **ბენაიუნმა**. მერსისაიდელთა თავდასხმა საუცხოოდ გამოიყურება. "ვოლერენგამდე" რამდენიმე დღით ადრე "ლივერპულმა" "რეინჯერსსაც" ოთხი ბურთი შეუგდო, თუმცა არც იმ დღეს და არც სამშაბათ საღამოს მერსისაიდელთა ახალწვეულ **რობი კინს** თავი არ გამოუჩენია. ირლანდიელ თავდამსხმელს პირველი ლივერპულური გოლი ჯერაც გასატანი აქვს.

ბენიტესი: *"რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. კარგი თამაში გამოვიდა, მაგრამ ფეხბურთელები ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ არიან. დღეს მეტოქემ უფრო მეტი იმოძრავა. ჩვენ კომბინაციური თამაშის ხარჯზე გავიმარჯვეთ. როდესაც გუნდში მაღალი დონის შემსრულებლები გყავს და გამართულად თამაშობ, გოლებს აუცილებლად გაიტან. დღეს სწორედ ასე მოხდა."* სენიორ რაფა ახალწვეულებითაც კმაყოფილია. მწვრთნელმა ლივერპულელ სკაუტებს საჯაროდ გადაუხადა მადლობა: *"მათ დავიდ ნგოგი აღმოაჩინეს. ეს ბიჭი საკმაოდ იაფი ღირდა, მაგრამ ტოლს არავის უდებს. ნგოგის ტრანსფერი სკაუტების ნაყოფიერი მუშაობის შედეგია."*

"ლივერპულის" მომდევნო მეტოქეა "ლაციო". რომაელები "ენფილდ როუდს" ხვალ ესტუმრებიან. აქვე, მერსისაიდელების შემადგენლობა ნორვეგიელებთან ოთხშაბათის მატჩისას: *კავალიერი (46. რეინა), არბელოა (67. დარბი), კარაგერი (46. ჰიიპია), აგერი, დოსენა (67. ინსუა), კუიტი (75. ელ ზარი), ჯერარდი (27. სპიერინგი), ჩაბი ალონსო (53. პლესი), ბენაიუნი (67. პაჩეკო), რობი კინი (67. ნგოგი), ტორესი (67. ნემეტი).*

აქვე გეტყვით, რომ იოსი ბენაიუნს "რომამ" დაადგა თვალი. ებრაელი ნახევარმცველის ლივერპულური მომავალი ჰაერშია გამოკიდებული. თუ მერსისაიდელები ასტონვილელ **გარეთ ბერის** შეიძენენ, ბენაიუნი ზედმეტი აღმოჩნდება. ბენიტესს მისი სარფიანად გაყიდვა სურს. "გაძეტა დელო სპორტს" "ჯალოროსის" მთავარი მწვრთნელის, **ლუჩანო სპალეტის** სიტყვები მოჰყავს: *"აგვისტოს ბოლომდე კიდევ ორ ფეხბურთელს შევიძენთ. გაინტერესებთ სახელები? მათ შესახებ დიდი ხანია, წერენ. მენესი და ბენაიუნი. ორივე მათგანი მაღალი კლასის ფეხბურთელია."*

**შალვა ბიბილაშვილი**

რა ხდება?

# სტანკოვიჩი იუვეში, ძამპარინი სასამართლოში



**კარვალიო ამაურის** აგენტი **მარიანო გრიმალდი** დარწმუნებულია, რომ "იუვენტუსს" **დეიან სტანკოვიჩის** დარი ფეხბურთელი აკლია. ის თვლის, რომ ტურინულ გრანდს მისი შეძენა შეუძლია, თუკი საამისოდ ძალისხმევას გააორმაგ... ამასთან, ის ემუქრება "პალერმოს" პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის**, რომ სასამართლოს კარს აატალახებინებს.

*"თუ ტურინელები სტანკოვიჩს იყიდიან, ბოლომდე გამართული და კონკურენტუნარიანი გუნდი ეყოლებათ,* - ამბობს ბატონი გრიმალდი რადიო "პუნტო ძეროსთან" ინტერვიუში, - *დღეს მათ ყველაზე მეტად ამ ტიპის მოთამაშე აკლიათ. "იუვე" და სტანკოვიჩი ერთად? ეს უკვე "ინტერის" დონეა. ამ შემთხვევაში, "ვეკია სინიორა" სკუდეტოს ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი გახდება".*

მაგრამ გრიმალდის ინტერვიუს ყველაზე საინტერესო ნაწილი "პალერმოს" ოდიოზურ ბოსს ეხება. ის ძამპარინისგან 2 მილიონ ევროს ითხოვს. ეს თანხა მას თურმე ამაურის ტურინული ტრანსფერიდან ეკუთვნის, უფრო სწორად, ასე ფიქრობს თავად, თორემ სიცილიელ პრეზიდენტს რომ ჰკითხოთ, გრიმალდი ერთ ცენტსაც არ იმსახურებს. ისევ აგენტს მოვუსმინოთ:

*"ძამპარინის მიმართ სასამართლოში სარჩელი შევიტანე. ის უარს ამბობს, გადამიხადოს 2 მილიონი ევრო, რითიც მეც მაზარალებს და ჩემს ოჯახსაც. ის სხვის კუთვნილ თანხას ითვისებს, ამიტომ, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს".*

როგორც ჩანს, ძამპარინის ულრუბლო დღეები არ ექნება. გარდა გრიმალდის მუქარისა, მას სხვა კითხვებზეც მოუწევს პასუხის გაცემა. ორიოდ დღის წინათ "გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში მან აღიარა, რომ ტრანსფერების დროს კონსულტაციებს **ლუჩანო მოჯისგან** იღებს. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

**გიორგი გელაშვილი**

კალჩოპოლი

# ახალი სანქცია მოჯის

"კალჩოპოლის" სკანდალი თითქოს დასრულდა, დასასჯელი დაისაჯა, მოსაკვეთი მოიკვეთა, მაგრამ ფაქტია, რომ საქმე ისევ გრძელდება. **ლუჩანო მოჯის** ახალი სასჯელი ელოდება. ამჯერად, ეგრეთ წოდებული SIM-ის საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატმა **სერჯო არტიკომ**, რომელიც კონკრეტულად ამ საქმეზე იყო მიმაგრებული, მოჯის 5-წლიანი დისკვალიფიკაცია კიდევ 14 თვით გაუხანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ "იუვენტუსის" ყოფილ სატრანსფერო გურუს ბრალი ედება "უკანონო სატელეკომუნიკაციო კავშირის დამყარებაში, ერთი მხრივ, ყოფილ არბიტრ მარიანო ანჯელო ფაბიანისთან, და მეორე მხრივ, ცალკე იტალიელ მსაჯთა ასოციაციასთან".

თავის დროზე, ფაბიანისაც ხუთი წელი ჰქონდა გამოწერილი, **ტიციანო პიერის, სალვატორე რაკალბუტოს, სტეფანო ჩეზარის, ანტონიო დატილოს, პაოლო ბერტინის, მარკო გაბრიელესა** და **მარჩელო ამბროზინოს** კი 18-18 თვე. გაცილებით მსუბუქად (6 თვე) დაისაჯა **მორგან დე სანტისი**. მოჯი და კომპანია ურთიერთკავშირისთვის არარეგისტრირებულ SIM-ბარათებს იყენებდნენ.

**გიორგი გელაშვილი**



### მაკარტის სტამბოლში ელოდებიან

"გალათასარაი" "ბლექბერნისა" და სამხრეთი აფრიკის ნაკრების თავდამსხმელ **ბენი მაკარტის** ეპატიჟება. გამოცდილ ფორვარდს თურქული ვარიანტი საინტერესოდ ეჩვენება. სტამბოლში წასვლის შემთხვევაში, მას ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება მიეცემა. ბენი 30 წლისაა. მისი კარიერა დასასრულს უახლოვდება. "ბლექბერნში" დარჩენის შემთხვევაში, მას ლიგაში თამაშის მინიმალურზე მინიმალური შანსი აქვს. "გალა" "ვარდებს" ჯერ არ დაჰკავშირებია. მაკარტი ირწმუნება, რომ არც მის აგენტს შეხმიანებია ვინმე, მაგრამ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია ოდნავადაც არ აკვირვებს. მისმა ძველმა მეგობარმა, **თუგაი ქერიმოღლუმ** ბენის ჯერ კიდევ ორი თვის წინ აუწყა, რომ "გალათასარაის" მისი შეძენა სურდა. მაკარტის, სამშობლოსა და ინგლისის გარდა, ჰოლანდიაში ("აიაქსი"), ესპანეთსა ("სელტა") და პორტუგალიაში ("პორტუ") უთამაშია. 2004 წელს, მან "პორტუს" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

### ბრიატორე დოუის წინააღმდეგ

"ქუინზ პარკ რეინჯერსი" მთავარი მწვრთნელის დათხოვნას აპირებს. **იან დოუი** კლუბის თანამფლობელ **ფლავიო ბრიატორეს** დაუპირისპირდა. ამ უკანასკნელმა, გუნდის თავკაცს მავანი აზიელი ფეხბურთელის შეძენა მოსთხოვა. დოუიმ ბრიატორეს განუცხადა, რომ ეს მოთამაშე არ აინტერესებს. მხარეებს ინფორმაცია კონფლიქტის თაობაზე არ დაუდასტურებიათ. დოუიმ სპეკულაციებს უსაფუძვლო ჭორი უწოდა. თუმცა "დეილი მეილისათვის" ცნობილი გახდა, რომ "ქუინზ პარკის" ხელმძღვანელობა გამალებით ეძებს ახალ მწვრთნელს. კლუბმა ამ ზაფხულს აქტიური სატრანსფერო კამპანია ჩაატარა, თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ ლონდონელებმა სიმბოლური თანხა, 250 ათასი გირვანქა დახარჯეს. ამ თანხის სანაცვლოდ, მათ "ბლექპულის" ნახევარმცველი **კასპარს გორკსი** შეიძინეს. ამას გარდა, სამი ფეხბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაიყვანეს და კიდევ ორს საიჯარო ხელშეკრულება შესთავაზეს. ბრიატორეს სურს, "ქუინზ პარკმა" პრემიერლიგის საგზურისათვის იბრძოლოს.

### მოიესს ალან სმიტი სურს

"ევერტონის" თავკაცმა **დევიდ მოიესმა ალან სმიტის** ტრანსფერზე დაიწყო ფიქრი. სმიტი ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელია და ამჟამად "ნიუკასლში" თამაშობს. 27 წლის ფეხბურთელი სულ რაღაც 3 მილიონი გირვანქა ღირს. ევერტონელები გამოცდილ ფორვარდ **ენდი ჯონსონს** ყიდიან. ამ უკანასკნელს "ფულჰემი" ეპატიჟება და 13 მილიონ გირვანქას იხდის. მისი აზარგების შემთხვევაში, ლივერპულელებს ახალი თავდამსხმელი დასჭირდებათ. ალან სმიტი შესანიშნავი კანდიდატია. კლუბებს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით, კომენტარები ჯერ არ გაუკეთებიათ.

### მეორე სანტა კრუსი ბლექბერნში

"ბლექბერნმა" **ხულიო სანტა კრუსი** შეიძინა. ეს 18 წლის ყმაწვილი **როკე სანტა კრუსის** უმცროსი ძმაა. ისიც თავდამსხმელია. ხულიომ "ვარდებთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მაგრამ ჯერ არ არის გადაწყვეტილი, რომ ძმები გვერდიგვერდ ითამაშებენ. როკეს რამდენიმე სარფიანი შეთავაზება აქვს. სპეკულაციების თანახმად, მას "მანჩესტერ იუნაიტედი" და "მანჩესტერ სიტი" ეპატიჟებიან. "სიტიში" "ბლექბერნის" ყოფილი თავკაცი **მარკ ჰიუზი** მოღვაწეობს. სატრანსფერო ფანჯარა სადაცაა დაიხურება. როკეს საკითხი კი ადგილიდან არ დაძრულა.

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველა გზა პეკინში მიდის

პირველი გვერდიდან

ისე მოხდა, რომ თბილისი-სტამბოლის რეისზე პეკინისკენ მიმავალი დიდი ჯგუფი შეიკრიბა. თქვენ წარმოიდგინეთ, ჟურნალისტები ვჭარბობდით: სამნი „ლელოდან“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ - ორი ოთხ-ოთხკაციანი ჯგუფი, ტექნიკური მუშაკების ჩათვლით. ჩვენი კოლეგებიდან, „საზოგადოებრივს“ **დავით მინაშვილი** და **ზურაბ უსუფაშვილი** წარმოადგენენ. თბილისიდან პეკინში ჩვენთან ერთად იმგზავრეს „ქართული სახლის“ დიასახლისმა **ნანა ალექსანდრიამ**, ამ სახლის კოორდინატორმა **ვაჟა შუბლაძემ**, დიზაინერებმა - **დავით ჯანიაშვილმა** და **დაჩი გელაძემ**. მგზავრთა უმრავლესობა ოლიმპიადის სტუმარი იყო - ბულგარეთიდან, ხორვატიიდან, პალესტინიდან...

პეკინის აეროპორტში ჩვენებს ყოველდღე ხვდებიან - **ირაკლი სამყურაშვილი** სპორტის დეპარტამენტიდან, **ემზარ ზენაიშვილი** სეოკ-იდან, ჩინეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები... ლელოელებს მათი მეგზურობა არ დაგვჭირდა - წინდაწინ შეგულებულ მასპინძლებთან ადრევე ვიყავით მოლაპარაკებული ტრანსპორტირებაზეც, საცხოვრებელზეც და სხვა საკითხებზეც. იდეალური პირობები დაგვახვედრეს. პირველი უცნაურობა კი იყო ის, რომ ბარგის მისაღებად აეროპორტიდან რამდენიმე კილომეტრი ვიმგზავრეთ. ასეთი რამ ჯერ არსად გვინახავს.

ეს ყველაფერი ხდება 6 აგვისტოს, 7-ში კი ოლიმპიურ სოფელში საქართველოს ეროვნული დროშის აღმართვის ცერემონია გაიმართება. მსურველთა დიდი რაოდენობის გამო, დასწრება შეზღუდული ყოფილა. იმედია, ჟურნალისტებს შეზღუდვა არ შეეხებათ.

ჯერჯერობით, ოლიმპიადის დედაქალაქში დიდი აჟიოტაჟი ნამდვილად არ იგრძნობა. იქნებ ნაადრევიცაა? **სანდრო კოტორაშვილის** მახვილმა თვალმა პირველმა შენიშნა, რომ 6 აგვისტოს პეკინში მხოლოდ ლუწნომრიანი ავტომანქანები მოძრაობდნენ, დღეს კენტების ჯერია...



## რუსული ალყა

### ილია გიორგაძეს მცირე ტრავმა აქვს

თბილისური ხვატი რა სახსენებელია, როცა საქმე პეკინის სიცხესთან გაქვს. ასეთი შეგრძნება, ალბათ, საუნაში თუ განგვიცდია. მოკლედ, საბრალო სპორტსმენები...

ოლიმპიურ სოფელთან ახლოს დაბინავება არ ნიშნავს იმას, რომ მისი კარი ჩვენთვის უფრო იოლად გაიღება, ვიდრე სხვებისთვის. მაღალი კორპუსებით გაშენებულ ოლიმპიურ სოფელს ცხრაკლიტულივით ცხრა ჭიშკარი აქვს და ცხრავე საგულდაგულოდაა ჩარაზული. იქ შეღწევა მედიისთვისაც რთულია. საქმეს წინასწარ (ერთი-ორი დღით ადრე) ჩაწერაც არ შველის. არადა, თამაშის დაწყებამდე ყველაფერი საინტერესო სწორედ იქ ხდება. თუმცა აკრძალვები იმისთვისაა, რომ... მათ ხანდახან არ დავემორჩილოთ. მოკლედ, შემოგთავაზებთ ჭიშკრისიქითა სამყაროს მოკლე მიმოხილვას, რისი გაგებაც დღეისთვის შევძელით...

დღეს, პეკინის დროით 17 საათზე, ოლიმპიური სოფლის საერთაშორისო ზონაში საზეიმოდ აღიმართება საქართველოს დროშა. მედიის წარმომადგენლები ვიმედოვნებთ, რომ ამ ღონისძიების ხათრით მაინც მოვხვდებით სოფელში, თუმცა, როგორც გავარკვიეთ, ზოგისთვის მხოლოდ ამ ზონაში შეღწევა იქნება მაქსიმუმი, ქართულ კორპუსს კი არ მიგვაკარებენ. არა უშავს, ესეც საქმეა.

ჩვენს სპორტსმენებს, ისევე როგორც სხვებს, ოლიმპიურ სოფელში იდეალური, ან იდეალურთან მიახლოებული პირობები აქვთ. საქართველოს დელეგაცია განთავსებულია A2 კორპუსში, სადაც რამდენიმე სართული უჭირავს. ქართული სოფელი ჯერ ბოლომდე არაა შევსებული. დღეს დილით ჩვენი ძალოსნები ჩამოდიან **ვანო გრიქუროვის** თავკაცობით, სალამოს კი მთავარი დამრტყმელი ძალა - ძიუდოისტები. 11-მდე, ვიდრე თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩამოვლენ, მეტ შევსებას აღარ ველით. კორპუსში ჩვენი მეზობლები პორტუგალია, ზიმბაბვე და კამერუნია, ირგვლივ კი რუსების ოთხი კორპუსია. ოლიმპიადის ფავორიტები ყველგან არიან. მოკლედ, რუსული ალყაა.

ოლიმპიურ სოფელში არ დაულანდავთ „დრიმ თიმი“, თორემ სხვა ვარსკვლავების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით. მაგალითად, შეიძლება გაგიმართლოთ და **პაუ გასოლთან** ერთად შეიძინოთ საზამთრო. ან სეირნობისას ბრიჯებში გამოწყობილი **რაფაელ ნადალი** გადაგეყაროთ... ჩაუვლი ზოგიერთ ცნობილ სპორტსმენს და მერელა გახსენდება, ვინაა. ვარსკვლავთა ცვენაა - აწოწილი რუსი ფრენბურთელი ქალებით დაწყებული და არგენტინელი კალათბურთელებით დამთავრებული...

ოლიმპიურ სოფელში კვებაც უმაღლეს დონეზეა. კორპუსების ირგვლივ „საზკვების“ უამრავი დაწესებულებაა. არის ერთი მთავარიც - სასადილო, ალბათ, 200 მეტრია სიგრძე-სიგანეში. იქ ყველანაირი საკვებია, რასაც კი დედამიწის ზურგზე ამზადებენ... სწორედ იქ გადაეყარა გუშინ **მანუჩარ კვირკველიას ქარამ იბრაჰიმ გაბერი** და შორიდან თბილადაც მოიკითხა. კარგი ბიჭია ეგვიპტელი. გახსოვთ, ალბათ, 2004 წელს მან ფინალში **რამაზ ნოზაძე** დაგვიმარცხა...

რაც შეეხება ტრავმებს, საგანგაშო არაფერია. აი, ზედმეტი წონა კი - იცოცხლე, ბევრს აწუხებს. ჰოდა, სალამოობით, ოლიმპიურ სოფელში კალათბურთის მოთამაშე ქართველ მოჭიდავეებსაც შეხვდებით. დგას იქვე **ანდრეს ნოჩიონი** და ჩვენებს ირონიული ღიმილით შესცქერის. აბა, იჭიდაოს, თუ ბიჭია!

ერთადერთი, ტანმოვარჯიშე **ილია გიორგაძეს** აწუხებდა კუნთი და გუშინ მას შესაბამისი პროცედურებიც ჩაუტარეს. სერიოზული არაფერია, 9 აგვისტოსთვის მწყობრში იქნება.

დღეს, დროშის აღმართვაზე, ნაკრები ერთიან სპორტულ ფორმაში გამოეწყობა - თეთრ, წითელზოლიან მაისურებში. აქვე, გახსნაზეც გეტყვით ერთ-ორ სიტყვას: მასპინძლები დიდებულ სანახაობას გვპირდებიან. სხვათა შორის, ნაკრებები ჩინური დამწერლობით დაეწყობიან და რომელი ქვეყანის დასახელებაც ნაკლები „ჯოხით“ იწერება, იმ ქვეყნის ნაკრები უფრო ადრე გამოვა არენაზე. ჩვენებს ინგლისური „ჯი“ ვერ შველის - ჩინური იეროგლიფებით „საქართველო“ საკმაოდ რთულად იწერება. ასე რომ, ჩვენი დელეგაცია გაფრთხილებულია - მინიმუმ 2 საათი ფეხზე დგომა გარანტირებული გაქვთო.

გახსნის ცერემონიას რამდენიმე სპორტსმენი გამოტოვებს. **ნესტორ ხერგიანი** მეორე დღესვე, დილით იწყებს ასპარეზობას და ამ ხვატში ფეხზე დიდხანს ვერ დააყენებენ. არ იქნებიან **ზაზა კედელაშვილი** და **ილია გიორგაძეც**. პლაჟბურთის გუნდები, **საქართველო** და **გეორ-გია** 9 აგვისტოს კი იწყებენ, მაგრამ თავად ამ სპორტსმენთა სურვილია, დელეგაციასთან ერთად გამოვიდნენ. ბრაზილიელები იოლად გაგვიშინაურდნენ.

რამდენადაც კარგად აქვთ საქმე სპორტსმენებს, იმდენადვე ვიჩაგრებით მედიის წარმომადგენლები. წარმოიდგინეთ, მთავარ პრესცენტრში ინტერნეტი ფასიანია და ამან იმხელა აღშფოთება გამოიწვია, შესაძლოა, ორგანიზატორებმა ასპროცენტიანი ფასდაკლება გამოაცხადონ...

ჭიდაობა. საუბარი რომან რურუასთან

# დიდოსტატის შეგონება: დაიხარჯეთ ბოლომდე!

პეკინში 12-14 აგვისტოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ორთაბრძოლები გაიმართება. ჩვენი ფალავნები უკვე ხუთი დღეა, ჩინეთის დედაქალაქში იმყოფებიან და ბოლო საწვრთნელ შეკრებას იქ გადიან. გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ 12 აგვისტოს **ლაშა გოგიტაძე** (55 კგ) და **დავით ბედინაძე** (60) იჭიდავებენ; 13 აგვისტოს **მანუჩარ კვირკველია** (74) მოსინჯავს ძალებს, ხოლო 14 აგვისტოს **ბადრი ხასაია** (84) და **რამაზ ნოზაძე** (96) იბრძოლებენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად.

უკვე გაუწყეთ, რომ ქართველი „კლასიკოსები“ მონდომებით ემზადებიან მომავალი პაექრობებისთვის და ერთი სული აქვთ, როდის გავლენ ოლიმპიურ ხალიჩაზე.

გვესაუბრება სახელოვანი მოჭიდავე, ოლიმპიური თამაშების „ოქრო-ვერცხლის“ მფლობელი, ოთხგზის მსოფლიო და ექვსგზის სსრ კავშირის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **რომან რურუა**.



- როგორც ვიცი, ჩვენი ფალავნები პეკინის ოლიმპიადისთვის კარგად არიან მომზადებული. ჟინი და შემართებაც არ აკლიათ, მაგრამ, როგორც უფროსმა მეგობარმა, მინდა მათ ვურჩიო, რომ ბოლომდე დაიხარჯონ ოლიმპიურ ხალიჩაზე, ყველაფერი გაიღონ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად. საკუთარ მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილი მოჭიდავე ტოკიოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ გავხდი. უნგრელ **იმრე პოიაკთან** ბოლო შეხვედრისას, რატომღაც ვფრთხილობდი. ორთაბრძოლა მეტოქისთვის სასურველ ფრედ რომ დამთავრდა, გასახდელისკენ მიმავალი, საკუთარ თავზე ვბრაზობდი - დაღლაც კი არ მეტყობა, ძალები რისთვის დავზოგე, ოქროს მედალი რატომ დავკარგე-მეთქი...

აქ დროებით შევწყვეტთ ბატონ რომანთან საუბარს და 44 წლის წინანდელ ამბავს გავიხსენებთ: ქართველი ფალავანი მაშინ შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო. 1963 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე პირველსავე ორთაბრძოლა ოლიმპიურ ჩემპიონს **ოლეგ კარავაევს** მოუგო. გახარებულმა თანაგუნდელებმა იგი ხალიჩიდან ხელშიატაცებული გამოიყვანეს. ქართველმა ჭაბუკმა მერე ზედიზედ დაამარცხა სახელოვანი ფალავნები - **სტაშკევიჩი, ზუბკოვი, გრიგორიევი** და სპარტაკიადის ოქროს მედალი დაიმსახურა. ამ ორთაბრძოლების შემყურე ფილას პრეზიდენტს **მილან ერცეგანს** უთქვამს - გამოჩნდა კიდევ ერთი დიდი პოტენციის მქონე ახალგაზრდა ოსტატი რომან რურუა, რომლის შესახებ მალე მთელი მსოფლიო გაიგებსო. მართლაც, 1964 წელს ამომავალი მზის ქვეყანაში ზედიზედ ხუთ მეტოქეს სძლია, მათ შორის - რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს **მუზახირ სილეს**. გადამწყვეტ პაექრობაში სახელოვან უნგრელ მოჭიდავეს, სამგზის მსოფლიო ჩემპიონს იმრე პოიაკს შეხვდა. მეტოქე ნაკლები საჯარიმო ქულებით გავიდა ფინალში. ამდენად, ოქროს მედლის მოსაპოვებლად ფრეც ხელს აძლევდა. მადიარმა არბიტრების დახმარებით ყველაფერი იღონა მიზნის მისაღწევად. მსაჯებმა პოიაკის სამჯერ ჩოქბჯენში გადაყვანა „ვერ შენიშნეს“, ვერც ის, რომ გაქონილი ტანი ჰქონდა და ხელი ზედ ცურავდა. მართალია, პირსახოცით რამდენჯერმე გაწმინდეს,.მაგრამ გაფრთხილება ერთხელაც არ მიუციათ. ოლიმპიადის შემდეგ ლოზანაში, ფილას შტაბბინაში ამ ორთაბრძოლის ფირი უნახავთ და ყველას ულიარებია, მსაჯების შეცდომა, რურუამ 3:0 გაიმარჯვაო, მაგრამ რა - შედეგი არავის შეუცვლია.

- გული მაინც არ მწყდება, - განაგრძო თხრობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. - პოიაკზე ალალი იყო ოქროს მედალი. მან ოთხჯერ იასპარეზა ოლიმპიურ სარბიელზე. ჰელსინკში, მელბურნსა და რომში მეორე ადგილებით დაკმაყოფილდა. მეოთხე ცდა მაინც ხომ უნდა დაგვირგვინებულიყო ჩემპიონობით. ამიტომაც თანაუგრძნობდნენ მას არბიტრები. ჩემი ბრალიც იყო - უნგრელთან ორთაბრძოლისას ბოლომდე არ დავიხარჯე.

სამაგიეროდ, ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ არ ინდობდა მეტოქეებს რომან რურუა. მაგალითისთვის 1966 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ტოლედოში გამართული მსოფლიო ჩემპიონატიც კმარა. ოკეანის გაღმა ქართველმა ფალავანმა 6 მოწინააღმდეგეს 82 ქულა აართვა ისე, რომ თავად ქულაც არ დაუკარგავს. 1968 წელს მეხიკოშიც ასევე შესანიშნავად იჭიდავა და ოლიმპიური ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი.

- ჩვენი კლასიკოსებიდან ყველაზე მეტად რამაზ ნოზაძე მეიმედება. მაღალი დონის ოსტატია. რეგალიების მიხედვით არ ვმსჯელობ. არის ამ ბიჭში ნიჭიც, ფიზიკური კონდიციებიც და ის მონაცემებიც, რაც დიდოსტატს სჭირდება, თუმცა ყოველთვის რაღაც უშლის ხელს. ახლაც მითხრეს, ბარძაყს იტკივებსო. ეჰ, ასეთი ტრავმებისთვის გაგვიძლია!

რომან რურუას აქვს ამგვარი შეძახილის უფლება. ასეთი ეპიზოდიც მინდა გავიხსენო: ქართველ ფალავანს ხერხემლის ტკივილი ჭაბუკობიდანვე აწუხებდა, მაგრამ ყურადღებას არასდროს აქცევდა, არც იმჩნევდა. 1971 წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ, საკავშირო ნაკრების წევრები შეჯიბრებისთვის მინსკის ოლიმპიურ ბაზაზე ემზადებოდნენ. სტაიკებში რურუასთვის ხერხემლის ტკივილი გაუსაძლისი გახდა და იგი მოსკოვის კლინიკურ საავადმყოფოში აღმოჩნდა. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მაშინდელმა თავმჯდომარემ **ირაკლი სარაჯიშვილმა** და ცნობილმა მწვრთნელმა **ვახტანგ კუხიანიძემ** პალატაში მიაკითხეს და, მთავარ ექიმთან შეთანხმებით, სპარტაკიადის შტაბში წაიყვანეს. სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **გიორგი სიხარულიძემ** უთხრა, სპარტაკიადაზე უნდა იჭიდაოო. უარის სათქმელად ვერავითარმა არგუმენტმა ვერ გაჭრა - ტკივილის გასაყუჩებლად ნემსს გაგიკეთებთო. ბატონი რომანი მართლაც მიიყვანეს ცნობილ ექიმ **ზოია მირონოვასთან**. უზარმაზარი ნემსი რომ დაინახა და თან უთხრეს, წამალი ხერხემალში უნდა შევიყვანოთო, ქართველმა ფალავანმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა - არაფერი მტკივა, წამიყვანეთ, ვიჭიდავებო.

შვიდ მეტოქეს სძლია ჩვეული სტილით და მესამედ გახდა სპარტაკიადის ჩემპიონი. ორთაბრძოლების დამთავრების შემდეგ ტკივილებისგან წელში მოხრილი და სიცხით გათანგული რურუა ისევ საავადმყოფოში დააბრუნეს.

- ღმერთმა აშოროს ჩვენს ბიჭებს ტკივილი. ჯანმრთელები და ვეფხვივით შემართულები უნდა გავიდნენ ხალიჩაზე. მართალია, ზემოთ ჩემპიონობის კანდიდატად მხოლოდ ნოზაძე დავასახელე, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ სხვებს არ ძალუძთ კვარცხლბეკზე ასვლა. მით უმეტეს, რომ მანუჩარ კვირკველიამ, დავით ბედინაძემ, ბადრი ხასაიამ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების ჯილდოების ფასი იციან. იქნებ, პეკინში ოლიმპიური მედლების გემოც დააჭაშნიკონ.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ფანცულაია კენწეროში

სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე მეშვიდე ტური აქამდე ჩატარებულთაგან ყველაზე საინტერესო იყო: პირველ დაფაზე სომეხი **არმან პაშიკიანი** გათურქებულ ბოსნიელ **სუათ ათალიკს** ხვდებოდა. ორივეს ექვსი ქულა ჰქონდა და ისინი წყვილად ლიდერობდნენ ტურნირს. მეორე დაფაზე **მერაბ გაგუნაშვილი მიხეილ გურევიჩის** დაცვის გარღვევას ლამობდა; მესამეზე კი ორი ქართველი ერკინებოდა ერთმანეთს - **ლევან ფანცულაიას** მეტოქე **ვალერიანე გაფრინდაშვილი** იყო. არანაკლები ინტრიგა ახლდა მეოთხე დაფაზე მიმდინარე ჯახს: ტურნირის პირველი ნომერი **გადირ ჰუსეინოვი** ქართველ **მაკა ფურცელაძეს** ხვდებოდა.

ჰუსეინოვი-ფურცელაძის შედეგის გაცნობით დავიწყოთ მიმოხილვა, სადაც, ჩვენდა გასახარად, მაკამ არაფერი დაუთმო აზერბაიჯანელ დიდოსტატს და, შავი ფერის მიუხედავად, ყაიმს გამორჩა. მაკამ სტარტზე წაიფორხილა მცირედით, მაგრამ მომდევნო ტურებში ფეხზე მყარად დადგა და რამდენიმე ძლიერ მეტოქეს სძლია, კიდევ უკეთესებთან კი ქულა გაიყო. მაკა, როგორც ჩანს, თვითრწმენას იბრუნებს და ისე თამაშობს, როგორი პოტენციაც აქვს - კარგად გვახსოვრებათ, რომ სამი წლის წინ კიშინიოვში გამართულ ევროპის ქალთა ჩემპიონატზე ფურორი მოახდინა - 17 წლისამ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური და ქალთა დიდოსტატისა და კაცთა საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა.

მერაბ გაგუნაშვილიც კარგ ფორმაშია, თუმცა მიხეილ გურევიჩის დამარცხება მაინც ვერ შეძლო, მაგრამ არც თავად დაეჩაგვრინა და მშვიდობიანად დაშორდა. ორმა ქართველმა კი ფიცხელი ბრძოლა გააჩაღა და ასეთ „ძმათა მკვლელ" ომში გამარჯვებული ფავორიტად მიჩნეული ფანცულაია გამოვიდა. ლევანმა ამ მოგებით ლიდერებში გადაინაცვლა და არმან პაშიკიანთან და სუათ ათალიკთან ერთად იყოფს პირველ-მესამე ადგილებს. დღეს შავებით ათალიკს ხვდება და თუკი დაამარცხა, ტურნირის ჩემპიონობამდე „ნახევარი" ნაბიჯიღა დარჩება...

გაგუნაშვილს 6 ქულა აქვს. მერვე ტურში რუს ქალბატონს - **ბაირა კოვანოვას** ხვდება. სიმართლე გითხრათ, ბაირას დამარცხება მერაბს ყველა შემთხვევაში მართებს და თუ ეს შეძლო, ბოლო ტურში წარმატების შემთხვევაში ჩემპიონობას თუ არა, სამეულში შესვლას მაინც მოახერხებს.

ექვსი ქულა აქვს **გიორგი ბაღათუროვსაც**, რომელმაც მეშვიდე ტურში შავებით თურქი **ჰაკან ერდოგანი** დაამარცხა. წარმატებული დღე ჰქონდა ვეტერან **თამარ ხმიადაშვილს**, ვინც ახალგაზრდა თურქ საერთაშორისო ოსტატ **უმუთ ათაკიშისთან** ყაიმით დაასრულა პარტია. ხმიადაშვილს 5.5 ქულა აქვს.

ხუთ-ნახევარი ქულა აქვს მაკა ფურცელაძესაც და დღეს შავებით შეხვდება ვალერიანე გაფრინდაშვილს. ხმიადაშვილიც ქართველს დაუპირისპირდება შავებით, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ მეტოქედ საკუთარი აღზრდილი **ბელა ხოტენაშვილი** ჰყავს. ვინ აჯობებს - შეგირდი თუ ოსტატი, ინტრიგაც სწორად ამაშია.

**თამარ წერეთელმაც** 5.5 ქულას მოუყარა თავი და **თეონა მესხმაც**. თამარმა შავებით თურქი **აფაგ ხუდავერდიევა** დაამარცხა, თეონამ კი ასევე შავებით, ასევე თურქი **სეიმ ჩიტაკი** დაიბრიყვა. **ნონა დათუაშვილმა** თეთრებით ვერ შეძლო თურქი **დემრე კერიგანის** დამარცხება - ყაიმს დასჯერდა და მერვე ტურის წინ 4.5 ქულის პატრონი შეიქნა.

თეონა მესხის მეტოქე აზერბაიჯანელი **ჯახანგირ აგარაგიმოვი** იქნება; თამარ წერეთელს თურქი **იზაკ რომი** გამოცდის; ნინო ბაციაშვილის მეტოქე თურქი **ჰაირი ოზბიგენია**; **ანა გავაშელი**, რომელსაც ხუთი ქულა აქვს, თურქ **ერსან რაკის** დამარცხებას ეცდება, ხოლო ნონა დათუაშვილი ასევე მასპინძელ **გოხან გაუგოსოლლუს** დაუპირისპირდება.

ზვიად შათირიშვილი

# მეოთხეზე დაგვცადა

20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე ტურის პარტიები გათამაშდა და სამწუხაროდ, აქამდე უდანაკარგოდ მავალი **თორნიკე სანიკიძე** მეოთხე ტურში დამარცხდა. მისი შეჩერება ჩინელმა დიდოსტატმა **ჩაო ლიმ** შეძლო. ჩაო გვარიანი რეიტინგის მფობელია - 2590 ქულა აქვს და ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტიც არის. ის ქართველთან შეხვედრაში თეთრებით გახლდათ და საწყისი უპირატესობა მისთვის მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა. ძალიან ვწუხვართ სანიკიძის მარცხის გამო, მაგრამ წინ კიდევ 9 ტურია და თორნიკეს დანაკარგის ანაზღაურების კარგი შანსები აქვს. ეს ტურნირი იმდენად ძლიერი მოჭადრაკეებით არის სავსე, რომ ერთპიროვნულად წინ გაჭრას, მით უფრო სოლიდური სხვაობით, ვერავინ შეძლებს. ცხადია, გამონაკლისის დაშვებაც შეიძლება, მაგრამ ლამის ყველა 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი ასეთი სცენარით იმართება და ამადაც გვჯერა, რომ წლეულსაც იმავე რეჟისურას ვიხილავთ.

არ წაუგია **დავით ბენიძეს** - თეთრებით უკრაინელ **მარტინ კრავიცივთან** ყაიმით დაასრულა შეხვედრა. თუმცა თუ გავითვალისწინებთ უკრაინელის რეიტინგს, ბენიძის მონაგარი წარმატებად უნდა ჩაითვალოს - კრავიცივს 2527 რეიტინგული ქულა აქვს, ბენიძეს კი - 2389. დათოს 4 ტურის შემდეგ 2.5 ქულა მოუგროვდა და ლიდერთა ჯგუფთან ახლოს იმყოფება.

კვლავ გვახარებს **ნოდარ ლორთქიფანიძე**. ნოდარი ჯერ მხოლოდ 14 წლისაა და ამ ტურნირზე უთუოდ გამოცდილების მისაღებად წავიდა. ოთხი ტურის შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამოცანა-მინიმუმი შესრულებულია - გამოცდილება ხომ გვარიანი მიიღო, არც ქულების მოხვეჭაზე უთქვამს უარი და ნელ-ნელა ავსებს ყულაბას. მართალია, დიდი ნაბიჯებით არა, მაგრამ ყაიმებით წინსვლაც მნიშვნელოვანია მისთვის; განსაკუთრებით წაადგება კარგი თამაში მის რეიტინგს... ნოდარის მეტოქე გუშინ ავსტრიელი **მარკუს რაგერი** იყო (2527).

გოგონებში **მირანდა მიქაძეს** ჰქონდა ქართველთაგან საუკეთესო შედეგი - 2.5 ქულა. ის მეოთხე ტურში თეთრებით ხვდებოდა აზერბაიჯანელ **ხაიალა ისგანდაროვას**, რომლის არც სახელი გვეუბნება რამეს და რეიტინგითაც დიდი ვერაფერი შვილია - 2207. მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო, მირანდამ ხაიალას ჯობნა ვერ შეძლო, - მხოლოდ ყაიმს გამორჩა.

ქულა გაუყო მეტოქეს **ქეთი წანალაშვილმა** - თურქი **ქემრე ილდიზი** თეთრებით უტევდა ქართველს და თუმცა კი მოუგო, მაგრამ ნახევარი ქულა კი აართვა: სწორადაც რომ აართვა, რადგანაც ქეთი თურქს რეიტინგში 35 პუნქტით უსწრებს და საჭადრაკო ცოდნაც მასზე მეტი აქვს...

აი, **ნაზი პაიკიძის** აზერბაიჯანელ **ნარმინ კაზიმოვასთან** მარცხი რას უნდა მივაწეროთ, ნამდვილად არ ვიცით. ნარმინის რეიტინგი 2148-ის ტოლია, ნაზის კი - 2277-ის. სამწუხაროა, მაგრამ, როგორც ჩანს, პაიკიძე მთლად სასურველ ფორმაში ვერ არის - მას ჯერაც ვერ მოუშუშებია ამა წლის აპრილში ევროპის ქალთა ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოსგან მიღებული ფსიქოლოგიური ტკივილი... ეგებ ვცდებით, მაგრამ ასეთ მეტოქესთან არ უნდა აგებდეს ნაზი. ვნახოთ, მომდევნო ტურებში როგორ იყოჩაღებს.

ზვიად შათირიშვილი

# კავალაში რა შანსი გვაქვს?


თამაზ გელაშვილი პირველობისთვის იბრძვის

თურქეთის საჭადრაკო ტურნირები კი გვაქვს თვალთახედვის არეში, მაგრამ იქვე, მეზობელ საბერძნეთში მიმდინარე დიდი საერთაშორისო ტურნირი კი, გარკვეულ მიზეზთა გამო, უყურადღებოდ დაგვრჩა. არადა, ქალაქ კავალაში, სადაც ყოველწლიურად იმართება ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი, ქართველთა არცთუ მცირერიცხოვანი დელეგაციაა ჩასული - სულ 19 კაცი. კავალაში სამი კატეგორიის ტურნირი ეწყობა: A, B და C. 19 ქართველიდან 17 უძლიერეს, A ჯგუფში თამაშობს, ორიც - B-ში. ესენი არიან: **ელისაბედ ზარქუა** და **ანუკი ხაჟომია**. მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში ქართველთაგან ჩაებნენ: **თამაზ გელაშვილი** (2612), **მალხაზ სულაშვილი** (2499), **დავით ჯოჯუა** (2488), **დავით მალალაშვილი** (2480), **გიორგი მარგველაშვილი** (2477), **ნანა ძაგნიძე** (2458), **ნიკოლოზ შავთვალაძე** (2435), **სალომე მელია** (2416), **სოფიკო ხუხაშვილი** (2408), **დავით ლომსაძე** (2386), **შოთა აზალაძე** (2370), **ინგა ჭარხალაშვილი** (2318), **ნოდარ დავარაშვილი** (2221), **ციალა ქასოშვილი** (2145), **სალომე ხაჟომია** (2140) და **მერი ჟორჟოლიანი** (2136).

ფესტივალი თანდათან უფრო და უფრო პრესტიჟული ხდება. თუმცა, ძირითადად, ევროპელები სტუმრობენ საკურორტო ქალაქ კავალას. შთამბეჭდავია მონაწილეთა რაოდენობა - A ჯგუფში 162 მონაწილეა. აქედან 29 დიდოსტატია. პირველ ათეულს კი თავში ცნობილი ბულგარელი დიდოსტატი **კირილ გეიორგიევი** უდგას, რომელსაც ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს - 2671. მეორეა უკრაინელი **იური კრივორუჩკო** - 2628. მესამეა რუსი **ვლადიმირ ბურმაკინი** - 2625. ათეულში მხოლოდ ერთი ქართველია - თამაზ გელაშვილი. მას მეხუთე რეიტინგი აქვს. მეორე ნომრად კარგად ნაცნობი გაგერმანელებული რუსი ალექსანდრ გრაფია - 2621. გელაშვილი ასრულებს 2600-იანი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეების რიცხვს. 2500 და მეტი კი 27 მონაწილეს აქვს. სამწუხაროდ, ამ სიაში ქართველს საერთოდ ვერ ვხედავთ. 2499-ით მალხაზ სულაშვილი 34-ეა განთესვით. სხვა ქართველების განთესვის ნომრები ასეთია: 40. დავით ჯოჯუა; 41. დავით მალალაშვილი; 54. ნანა ძაგნიძე; 56. ნიკოლოზ შავთვალაძე; 57. სალომე მელია; 63. სოფიკო უხაშვილი; 69. დავით ლომსაძე; 70. შოთა აზალაძე; 82. ინგა ჭარხალაშვილი; 103. ნოდარ დავარაშვილი; 122. ციალა ქასოშვილი; 124. სალომე ხაჟომია; 125. მერი ჟორჟოლიანი.

მთავარი მაინც სატურნირო მდგომარეობაა და 7 ტურის შემდეგ თავმოსაწონიც ბევრი არ გვაქვს; თუმცა ცხრილის ზედა ნაწილში ჩვენებურებს კი ვხედავთ: თამაზ გელაშვილს 5 ქულა აქვს და იმ ათეულში შედის, ვინც ნახევარი ქულით ჩამორჩება შვიდ 5.5-ქულიანს - ეს შვიდეული პირველობას იყოფს. დავით მალალაშვილს, მალხაზ სულაშვილსა და სალომე მელიას 4.5 ქულა აქვთ. სხვების შედეგიანობა შემდეგნაირია: სოფიკო ხუხაშვილი - 4; დავით ჯოჯუა - 4; შოთა აზალაძე - 4; ინგა ჭარხალაშვილი - 4; ანა ძაგნიძე - 4; ნიკოლოზ შავთვალაძე - 4; მერი ჟორჟოლიანი - 3, ნოდარ დავარაშვილი - 3; ციალა ქასოშვილი - 3; სალომე ხაჟომია - 2.5.

ზვიად შათირიშვილი

რაგბი. ჩვენი მეტოქეები

# რუმინეთი ზელანდიაში, რუსები სორელის გარეშე



2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი მიმდინარე წლის ნოემბერში დაიწყება. თუმცა ჩვენი ეროვნული ნაკრები გათამაშებაში მხოლოდ მომავალი წლის გაზაფხულიდან ჩაერთვება. მანამდე კი ბორჯღალოსნების უმთავრესი მეტოქეების - რუმინეთისა და რუსეთის ნაკრებ გუნდებში საკმაოდ საინტერესო სიახლეებია.

რუმინელებმა, იმის გამო, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ნიჭიერი თაობა არა და არ ელირსათ, გადაწყვიტეს, ეროვნული ნაკრები ორი ზელანდიელითა და ერთი სამოელით გააძლიერონ. ზელანდიელი **ბენ აიონა** ათი ნომერია, მისი თანამემამულე **ზანე ვინსდალე** კი მეორე ხაზში შეეხიდება მუხის ფოთლებს. უკანა ხაზში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრას რუმინელები სამოელი **ლაპანა მაკაპელუს** დახმარებით შეეცდებიან.

რაც ყველაზე საინტერესოა - ეს მორაგბეები რუმინეთის ჩემპიონატში კონსტანცას „ფარულში" ითამაშებენ, სადაც ერთბაშად ხუთი ქართველი ირიცხება: **გიორგი ხოსიტაშვილი**, **ბიძინა სამხარაძე**, **ირაკლი ნატრიაშვილი**, **კახაბერ უჩავა** და **ლაშა თავართქილაძე**.

რუმინეთის ნაკრები ამჟამად შეკრებას ბუქარესტში გადის და ზელანდიური ტურნესთვის ემზადება, სადაც სამ შეხვედრას გამართავს მეორეხარისხოვან გუნდებთან. ამის მერე კი ფიჯისა და სამოას კუნძულებზე გადაბარგდება და ამ კუნძულოვანი სახელმწიფოს A ნაკრებებს გაეჯიბრება.

სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი რუსების სამწვრთნელო შტაბში. უახლოეს დღეებში რუსეთის რაგბის კავშირის აღმასკომის სხდომა გაიმართება, სადაც ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებების მწვრთნელთა ვინაობა გაირკვევა. გავრცელებული ინფორმაციით, რუსთა ნაკრების ამჟამინდელ მთავარ მწვრთნელს, ფრანგ კლოდ სორელს თანამდებობას დაატოვებინებენ და მის ნაცვლად ქვეყნის ჩემპიონის, მონინოს „ვვას" დამრიგებელ **ნიკოლაი ნერუშს** დანიშნავენ.

ბესიკ ჯანგავაძე

პლაჟბურთი. აჭარის ღია პირველობა

# დუშელი პლაჟბურთელების ტრიუმფი

ბათუმში, აჭარის ფრენბურთის ფედერაციის ორგანიზებით აჭარის რიგით მეოთხე ღია პირველობა გაიმართა პლაჟის ფრენბურთში, ქალთა შორის. ტურნირი, შეიძლება ითქვას, რომ სენსაციურად დასრულდა- დუშელმა ფრენბურთელებმა გაიმარჯვეს.

შეჯიბრებაში ბოლნისის, თბილისის, ბათუმის, სამტრედიის, დიდი ჯიხაიშისა და დუშეთის 36 წყვილმა იასპარეზა. ფინალში **ოთარ ჭინჭარაულის** აღზრდილები, დუშეთის გუნდის ფრენბურთელები **თეონა დიდებაშვილი-ნატო შუშიაშვილი** და **მაია ყორიაული-სოფიკო ბეწუაშვილი** გავიდნენ.

დიდებაშვილი-შუშიაშვილის წყვილმა ნახევარფინალში დიდი ჯიხაიშელები - **თინათინ მიქაძე** და **მარიამ ყიფშიძე** დაამარცხა ორ სეტში- 21:14, 21:8. მეორემ კი, ასევე ჯიხაიშელებს, ეროვნული ნაკრების წევრებს **ნელი აირაპეტიანსა** და **ნონა ლვინჯილიას** მოუგო- 2:0 (21:16, 21:17).

ფინალური მატჩში დიდებაშვილი-შუშიაშვილის დუეტმა თანაქალაქელები ორ სეტში დაამარცხა- 21:16, 21:18. მესამე ადგილი აირაპეტიანი- ლვინჯილიას წყვილმა მოიპოვა.

1. დიდებაშვილი-შუშიაშვილი (დუშეთი); 2. ყორიაული-ბეწუაშვილი (დუშეთი); 3. აირაპეტიანი-ლვინჯილია (ჯიხაიში); 4. მიქაძე-ყიფშიძე (ჯიხაიში).

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

პრობლემა

# რუსები დოპინგს მიექცნენ



ბოლო დღეებში ერთმანეთის მიყოლებით გავრცელდა ინფორმაციები, რომ რუსმა მძლეოსნებმა დოპინგ-ტესტები ჩააგდეს და შესაბამისად, ოლიმპიური თამაშების მიღმა დარჩნენ. თანაც, ეს ცნობები იმ ათლეტებს შეეხებათ, რომლებიც პეკინში მედლების მოპოვების კანდიდატებად ითვლებოდნენ.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ თამაშებიდან მოკვეთეს ხუთი რუსი მძლეოსანი ქალი. მორიგი ცნობა კი სპორტულ სიარულში რუსეთის ნაკრების სამ ლიდერს შეეხება.

20 აპრილს ჩატარებული დოპინგ-ტესტის თანახმად, 20 კილომეტრ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდსმენს **ვლადიმერ კანაიკინს**, ათენის თამაშების პრიზიორს **ალექსეი ვოევოდინსა** და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანს **ვალერი ბორჩინს** ორგანიზმში ერითროპოეტინის კვალი აღმოუჩინეს.

*“ამ სპორტსმენებს ეს დოპინგ-ტესტები გეგმიურად ჩაუტარდათ. ასი პროცენტით არ ვართ დარწმუნებული, მიიღეს თუ არა ჩემმა შეგირდებმა ერითროპოეტინი, მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ ფრანგულმა ლაბორატორიამ 20 აპრილს ჩატარებული ტესტების შედეგები მხოლოდ დღეს მოგვაწოდა. შესაბამისად, ჩვენს მხარეს სიმართლის დასადგენად დრო აღარ დარჩა და ვშიშობ, ჩვენი გუნდის ლიდერები პეკინის ოლიმპიადაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ”*, - აცხადებს დოპინგზე გამოჭერილი სპორტსმენების პირადი მწვრთნელი **ვიქტორ ჩოგინი**.

როგორც ჩანს, რუსებთან დაკავშირებული დოპინგ-სკანდალები კიდევ გაგრძელდება. წამყვანი რუსული გაზეთი “სოვეტსკი სპორტი” სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ უახლოეს დღეებში, კიდევ 11 რუს ოლიმპიელს მისცემენ დისკვალიფიკაციას. გაზეთი ამ მძლეოსნების გვარებს არ ასახელებს და მხოლოდ იმას იტყობინება, რომ ამ ათლეტებმაც ვერ შეძლეს დოპინგ-ტესტის გავლა.

■ ■ ■

რუსეთის მძლეოსანთა ნაკრები ერთადერთი არ არის, რომლის წევრებმაც დოპინგ-ტესტი ვერ გაიარეს. ანალოგიური პრობლემა შეექმნა იამაიკის ნაკრებსაც. კერძოდ, აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში ამხილეს სპრინტერი **ჯულიან დანკლი** - ანალიზმა მის სხეულში ანაბოლური სტეროიდის - ბოლდენონის კვალი აღმოაჩინა. დოპინგ-ტესტი 2008 წლის ივნისში, იამაიკის ჩემპიონატის დროს იყო აღებული.

32 წლის დანკლის ოლიმპიადაზე 4x100 მეტრზე ესტაფეტაში უნდა მიეღო მონაწილეობა. *“მოვითხოვ, გამოაქვეყნონ განმეორებითი სინჯის შედეგები. საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებული ვარ, ვინაიდან აკრძალული პრეპარატი არასოდეს მიმიღია”*, - აცხადებს სპრინტერი.

ჩოგბურთი

# შუტლერის პირველი გამარჯვება

## სასამართლოთი მოპოვებული საგზური

უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო ლოზანის სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ, რომელმაც დააკმაყოფილა გერმანელი ჩოგბურთელის **რაინერ შუტლერის** სარჩელი და მას პეკინში გამგზავრების უფლება მისცა.

საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს: ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ოლიმპიადის მონაწილეთა სია მაშინ გამოაქვეყნა, როცა შუტლერი ATP-ის კლასიფიკაციაში 94-ე ადგილს იკავებდა და არსებული წესების თანახმად, ვერ ხვდებოდა მამაკაცთა სატურნირო ბადეში. ამის შემდეგ, გერმანელმა ჩოგბურთელმა უიმბლდონის ნახევარფინალში გააღწია და კლასიფიკაციაში 34-ე ადგილამდე ამაღლდა. სწორედ ამის შემდეგ გაუჩნდა შუტლერს ოლიმპიადაზე თამაშის ამბიცია და როცა ფედერაციამ მისი შესაბამისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, სარჩელით მიმართა საარბიტრაჟო სასამართლოს.



რაინერ შუტლერი

შუტლერმა საქმე მოიგო და მას პეკინში ვიხილავთ. ფედერაცია კი სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, აღშფოთებას ვერ ფარავს და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უმოქმედობაში ადანაშაულებს. პრინციპში, მართალიცაა, ვინაიდან წესები ყველასთვის ერთი უნდა იყოს.

■ ■ ■

ამასობაში, სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტის** ფანებმა. უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა ბარძაყის ტრავმის გამო საკმაოდ დიდი პერიოდი გამოტოვა და სავარაუდოდ, მას პეკინშიც არ უნდა ეთამაშა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ჰიუიტმა ტრავმა მოირჩინა, ოლიმპიადაზე ერთეულებშიც გამოვა და წყვილთა თანრიგშიც, სადაც მისი პარტნიორი **კრის გუჩიონე** იქნება.

კრივი

# ოქროს ბიჭი დიდების დარბაზში

კრივის ოლიმპიური დიდების დარბაზში მიიღეს ლეგენდარული მოკრივე **ოსკარ დე ლა ჰოია**. ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მეშვიდე ამერიკელი მოკრივე გახდა, ვისაც მსგავსი პატივი ხვდა წილად. უფრო ადრე დიდების დარბაზში მოხვდნენ: **მუჰამედ ალი, ჯორჯ ფორმენი, ჯო ფრეზერი, რეი ლეონარდი, ფლოიდ პატერსონი და ედი იგანი.**

დე ლა ჰოიამ ერთხელ მიიღო მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში - 1992 წელს, ბარსელონაში ოქროს მედალი მოიპოვა და შემდეგ პროფესიონალებში გადავიდა. “ოქროს ბიჭი” 16 წლის წინანდელ მიღწევას ყველაზე მნიშვნელოვანს უწოდებს თავის საკრივო კარიერაში.

*“სამოყვარულო რინგზე გამოსვლა კარგი ტრამპლინი აღმოჩნდა ჩემთვის, მომავალი წარმატებების მისაღწევად. მაშინდელი გამარჯვება რომ არა, პროფესიულ კრივში ბევრს ვერაფერს მივაღწევდი”*, - ამბობს დე ლა ჰოია.



აფერა

# 10 ათასი არარსებულ ბილეთებში



ასობით ადამიანი დარჩა მოტყუებული ამერიკაში, ავსტრალიასა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. ისინი იმ თაღლითების მსხვერპლნი გახდნენ, რომლებიც ინტერნეტის საშუალებით ავრცელებდნენ გახსნის ცერემონიის ყალბ ბილეთებს. როგორც სააგენტო “როიტერი” იტყობინება, ამ ადამიანებმა თითო ბილეთის სანაცვლოდ საკმაოდ დიდი თანხა, 10 ათასი დოლარი გადაიხადეს, მაგრამ ხელცარიელნი დარჩნენ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სასამართლოს ძალით ცდილობს იმ ვებ-გვერდის დახურვას, სადაც ჯერ კიდევ ხორციელდება არარსებული ბილეთების რეალიზაცია.

ამერიკულმა პოლიციამ ჯერჯერობით ვერ გაარკვია, ვინ დგას ამ აფერის უკან.

მძლეოსნობა

# გაი პეკინისთვის მზად არის

100 მეტრ დისტანციაზე მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი, ამერიკელი **ტაისონ გაი** მზად არის ოლიმპიადაზე ოქროს მედლებისთვის საბრძოლველად. როგორც იცით, 5 ივლისს, ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში გაიმ 200 მეტრზე საკვალიფიკაციო გარბენის დროს ფეხი დაიზიანა, ამიტომაც ამ დისციპლინაში პეკინის საგზური ვერ მოიპოვა. როგორც სააგენტო AP იუწყება, ტაისონმა ბოლომდე მოირჩინა ტრავმა და ახლა ინტენსიურად ემზადება 100 მეტრზე გამოსასვლელად. მძლეოსნობის ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინაში ოქროს მედალი 15 ივნისს გათამაშდება.

*“ფორმის აღდგენას მოვასწრებ. როცა ოლიმპიური სტადიონის სარბენ ბილიკზე ფეხს დავდგამ, ნუ ინერვიულებთ, ყველაზე სწრაფად გავიქცევი”*, - ოპტიმისტურ პროგნოზს აკეთებს გაი.

ამერიკელი გერმანიაში ემზადებოდა. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ გაი აშშ-ის ნაკრებს დალიანში, საწვრთნელ ბანაკში შეუერთდებოდა, მაგრამ სპრინტერმა გეზი პირდაპირ პეკინისკენ აიღო, რათა გახსნის ცერემონიაში მიიღოს მონაწილეობა.




ტაისონ გაი

შეგახსენებთ, რომ 100 მეტრ დისტანციაზე გაის მთავარი კონკურენტები იამაიკელი სპრინტერები იქნებიან: მსოფლიოს ყოფილი და მოქმედი რეკორდსმენები - **ასაფა პაუელი და უსაინ ბოლტი**. გაი 4x100 მეტრზე ესტაფეტაშიც აპირებს გამოსვლას.

■ ■ ■

სანამ გაი საკუთარ შანსებზე საუბრობს, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად დაამტკიცა უსაინ ბოლტის რეკორდი. 31 მაისს, ნიუ-იორკში იამაიკელმა 100 მეტრი დისტანცია 9.72 წამში გაირბინა და 2 მეასედი წამით გააუმჯობესა წინა რეკორდი, რომელიც მის თანამემამულეს, ასაფა პაუელს ეკუთვნოდა.

გარდა ამისა, საერთაშორისო ფედერაციამ კიდევ ორი რეკორდის რატიფიკაცია მოახდინა. ეს გახლავთ კუბელი **დაირონ რობლესის** მიღწევა 110 მეტრზე თარჯრბენში - 12.87 წამი და ეთიოპიელი **დირე ტუნეს** შედეგი - მან ერთ საათში სარეკორდო მანძილი (18 517 მეტრი) გაირბინა.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

ტანვარჯიში

# მსაჯებს საქმე უმარტივდებათ

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია პეკინის ოლიმპიადაზე საინტერესო სიახლეს დანერგავს. მსაჯების მუშაობის გასამარტივებლად, პირველად სპორტული ტანვარჯიშის ისტორიაში, ვიდეოგამეორებებს გამოიყენებენ.

*“ყველას კარგად ახსოვს ოთხი წლის წინ, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მამაკაცთა ფინალურ შეჯიბრებებში განვითარებული დრამატული მოვლენები, როცა მსაჯების აზრი ორად გაიყო. ამის გამო, ფედერაციამ ვიდეოგამეორებების სისტემის შემოღება გადაწყვიტა. ამ მეთოდის საშუალებით მოხერხდება მსაჯების მიერ ამა თუ იმ სპორტსმენისთვის დაწერილი ქულების შემოწმება”*, - წერია ფედერაციის ოფიციალურ პრესრელიზში.

ველოსპორტი

# ევანსი ოქროს უმიზნებს

წლევანდელი ტურ დე ფრანსის პრიზიორი, ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი** გამოჯანმრთელდა და მზად არის პეკინის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის. როგორც იცით, ტურის შემდეგ, ევანსს მუხლი აწუხებდა და თამაშებზე მისი გამოსვლა დიდ ეჭვს იწვევდა.

*“კეიდელი დღეს გაფრინდება ჩინეთში. შემიძლია, ოფიციალურად განვაცხადო, რომ ის დროზე ინდივიდუალურ რბოლაში მიიღებს მონაწილეობას და მისგან ამ დისციპლინაში მედლის მოპოვებას ველოდებით”*, - აცხადებს ავსტრალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **პიტერ მონტგომერი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# პეკინი სტარტის წინ

## ბოლო ცნობები ოლიმპიადის დედაქალაქიდან



აქედან ფეიერვერკებს გაუშვებენ

პეკინი ბოლო რეპეტიციებს გადის გახსნის ცერემონიის წინ. ჩინეთის დედაქალაქი მზად არის უმაღლესი რანგის სტუმრებისა თუ გულშემატკივრების დასახვედრად, რომლებსაც ყველაზე მეტად გაუმართლათ და გახსნის ცერემონიაზე დასასწრები ბილეთები ჩაუვარდათ ხელში. წინასწარი მონაცემებით, 8 აგვისტოს, ადგილობრივი დროით 20 საათზე, ცენტრალურ ოლიმპიურ სტადიონზე ("ჩიტის ბუდე") 160 ათასი ადამიანი შეიკრიბება.

პეკინის მთავრობამ უკვე შეიმუშავა მაყურებლების სტადიონზე შესვლის, განთავსებისა და გამოსვლის წესები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნომინალურად პეკინის მთავარი არენა 91 ათას ადამიანს იტევს. გახსნას კი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 160 ათასი ადამიანი დაესწრება. ამ მხრივ, 30 ივლისსა და 2 აგვისტოს ორი რეპეტიცია ჩატარდა და დადასტურდა ორგანიზატორთა სწორი გათვლები. პეკინის კომუნიკაციების კომიტეტის დირექტორის **ჩჟოუ ჩჟენის** სიტყვებით, მოწვეული სტუმრები, სპორტსმენები და გახსნის ცერემონიის მონაწილეები ოლიმპიურ სტადიონამდე მათთვის სპეციალურად გამოყოფილი ავტობუსებით მივლენ, გულშემატკივრები კი "ჩიტის ბუდეს" საზოგადოებრივი ტრანსპორტით ეწვევიან. მომსახურე პერსონალი და მოხალისეები სტადიონზე მუშაობას პარასკევს, დილიდანვე შეუდგებიან. ბილეთების მფლობელებისთვის, "ჩიტის ბუდე" ცერემონიის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე გაიხსნება. 8 აგვისტოს პეკინის მეტრო 24 საათის განმავლობაში იმუშავებს.

ცერემონიის მსვლელობაში კორექტივები შეიძლება შეიტანოს ამინდმა. თამაშების ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ბუნება მაინცდამაინც 8 აგვისტოს არ გაჭირვეულდება და პეკინი სინოპტიკოსების მიერ ნავარაუდებ წვიმასა და ქარიშხალს გადაურჩება. ამავდროულად, ორგანიზატორები მხოლოდ ბუნების კეთილი ნების იმედად არ არიან და გარკვეული ზომების მიღებას აპირებენ: *"პარასკევს, პეკინის თავზე შავი ღრუბლები იქნება. ზოგიერთ ადგილას ძლიერი წვიმა და ჭექა-ქუხილია მოსალოდნელი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ზომების მიღება იმისთვის (ჩინეთში მომზადებულია სპეციალური ქვემეხები), რომ წვიმა შევაჩეროთ, ან პირიქით, ის იქამდე მოვიყვანოთ, სანამ ღრუბლები მთავარ სტადიონამდე მოაღწევენ"*, - ამბობს საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი. ტაიფუნმა შეიძლება შანხაის, ცინდაოსა და ჰონგკონგსაც მიაღწიოს, სადაც ასევეა დაგეგმილი ოლიმპიური პროგრამის რამდენიმე სახეობის სტარტები.

ამასობაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** უმაღლესი შეფასება მისცა ჩინელების მზადყოფნას და განაცხადა, რომ ამ ოლიმპიადით ქვეყნის ისტორიაში ახალი ლამაზი ფურცელი ჩაიწერება: *"დარწმუნებული ვარ, ოლიმპიადა უდიდეს მემკვიდრეობას დაუტოვებს ჩინეთს, აამაღლებს ამ ქვეყანაში ცხოვრების დონეს და ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს. ახლა ეს ქვეყანა გარდამავალ პერიოდშია. მას უდიდესი პოტენციალი და მომავალი გააჩნია"*.

სოკ-ის პრეზიდენტის სიტყვებით, პეკინის თამაშების გახსნის ცერემონიას, პირდაპირი ეთერით დაახლოებით მილიარდი ადამიანი იხილავს: *"ეს ოლიმპიადა ჩვენი ორგანიზაციის მთავარი ამოცანების გადაჭრაში დაგვეხმარება. სოკ-ის მიზანია, შეჯიბრებები ყველასთვის ხელმისაწვდომი და სამართლიანი გახადოს. ამჯერად, თამაშებში სარეკორდო რაოდენობის ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას. მათი რიცხვი 205-ს შეადგენს. ასევე სარეკორდოა ქალი ათლეტების რიცხვი - ისინი ოლიმპიადის მონაწილეთა 45 პროცენტს წარმოადგენენ"*.

მძლეოსნობა

# ტორპმა ეკიპს უჩივლა

ლეგენდარული ავსტრალიელი მოცურავე **იან ტორპი** ფრანგულ სპორტულ გაზეთ "ეკიპს" უჩივის. ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი აღშფოთებულია იმ სტატიის გამო, სადაც წერია, რომ ტორპი აკრძალულ პრეპარატებს იღებდა. მოცურავეს მიაჩნია, რომ ამ პუბლიკაციამ მის რეპუტაციას სერიოზული ზიანი მიაყენა.




სტატია, რომელსაც **დამიენ რესიო** აწერდა ხელს, 2007 წლის მარტში დაიბეჭდა. ავტორი ამტკიცებდა, რომ 2006 წლის მაისში, ავსტრალიელის მორიგმა დოპინგ-ტესტმა ტესტოსტერონის ძალიან მაღალი შემცველობა დააფიქსირა. სტატიაში ისიც ეწერა, რომ ავსტრალიის ანტისადოპინგო სააგენტომ ტორპის წინააღმდეგ საქმე დამამტკიცებელი საბუთების სიმცირის გამო არ აღძრა.

სასამართლო პროცესი 22 სექტემბერს არის დანიშნული. ტორპის ადვოკატის სიტყვებით, მის კლიენტს სურს, რეპუტაციის შელახვისთვის გაზეთმა კომპენსაცია გადაუხადოს. თანხის ოდენობა ცნობილი არ არის.

ტორპი დიდი სპორტიდან 2006 წლის ნოემბერში წავიდა. ავსტრალიელმა ამ ნაბიჯის მთავარ მიზეზად ტრავმები და მოტივაციის არქონა დაასახელა. კარიერის განმავლობაში, ტორპს მსოფლიოს 13 რეკორდი აქვს დამყარებული. მის ანგარიშზეა ოლიმპიადის 5 და მსოფლიო ჩემპიონატის 11 ოქროს მედალი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ჩემპიონთა ლიგა

**II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები**

| | |
|---|---|
| ბატე (ბელარუსი)-ანდერლეხტი (ბელგია) | 2:2 (2:1) |
| დინამო (უკრაინა)-დროგედა (ირლანდია) | 2:2 (2:1) |
| რაპიდი (ავსტრია)-ანორთოსისი (კვიპროსი) | 3:1 (0:3) |
| მოდრიცა (ბოსნია)-ოლბორგი (დანია) | 1:2 (0:5) |
| ბაზელი (შვეიცარია)-გიოტებორგი (შვედეთი) | 4:2 (1:1) |
| არტმედია (სლოვაკეთი)-ტამპერე (ფინეთი) | 4:2 (3:1) |
| სპარტა (ჩეხეთი)-შერიფი (მოლდოვა) | 2:0 (1:0) |
| დინამო (ხორვატია)-დომჟალე (სლოვენია) | 3:2 (3:0) |
| მტკ (უნგრეთი)-ფენერბაჰჩე (თურქეთი) | 0:5 (0:2) |
| პარტიზანი (სერბეთი)-ინტერი (აზერბაიჯანი) | 2:0 (1:1) |
| ვისლა (პოლონეთი)-ბეითარი (ისრაელი) | 5:0 (1:2) |

**III საკვალიფიკაციო ეტაპი**

შალკე (გერმანია)-ატლეტიკო (ესპანეთი)
სტანდარდი (ბელგია)-ლივერპული (ინგლისი)
ტვენტე (ჰოლანდია)-არსენალი (ინგლისი)
ბრანი (ნორვეგია)-მარსელი (საფრანგეთი)
ფიორენტინა (იტალია)-სლავია (ჩეხეთი)
გალათასარაი (თურქეთი)-სტიაუა (რუმინეთი)
ანორთოსისი (კვიპროსი)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
გიმარაეში (პორტუგალია)-ბაზელი (შვეიცარია)
შახტარი (უკრაინა)-დინამო (ხორვატია)
ოლბორგი (დანია)-კაუნასი (ლიტვა)
ბარსელონა (ესპანეთი)-ვისლა (პოლონეთი)
ლევსკი (ბულგარეთი)-ბატე (ბელარუსი
პარტიზანი (სერბეთი)-ფენერბაჰჩე (თურქეთი)
სპარტაკი (რუსეთი)-დინამო (უკრაინა)
იუვენტუსი (იტალია)-არტმედია (სლოვაკეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-სპარტა (ჩეხეთი)

*პირველი მატჩები 12/13 აგვისტოს გაიმართება, საპასუხო - 26/27 აგვისტოს*

### ფეხბურთი

**პეკინი 2008**

**ქალები**

| | |
|---|---|
| არგენტინა-კანადა | 1:2 |
| გერმანია-ბრაზილია | 0:0 |
| იაპონია-ახ. ზელანდია | 2:2 |
| ჩინეთი-შვედეთი | 2:1 |
| კორეა-ნიგერია | 1:0 |
| ნორვეგია-აშშ | 2:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჰეერენვენ-ვესტერლო | 2:1 |
| ბეერსხოტი-ნიიმეგენი | 1:1 |
| გენტი-ვალიადოლიდი | 1:2 |
| ჰადერსფილდი-არსენალი | 1:2 |
| უდინეზე-პაოკ | 1:3 |
| სელტიკი-მანჩესტერ სიტი | 1:1 |
| ნიუკასლი-ეინდჰოვენი | 2:2 |
| მანჩესტერ იუნ-იუვენტუსი | 0:0 |
| რასინგი-ოლიმპიაკოსი | 3:2 |
| მალაგა-ბილბაო | 1:3 |

**შოტლანდია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ისტ სტირლ.-ლივინგსტ. | 1:1, დ.დ. 1:2 |
| არბროა-სტირლინგი | 3:2 |
| ეირი-ბირუიკი | 2:1 |
| ისტ ფაიფი-ბრეჩინი | 0:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აუსტრია (კ)-შტურმი | 0:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოდენსე-ნორდსილანდი | 3:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ჰამ კამი-ტრომსიო | 0:1 |
| რუსენბორგი-სტაბეკი | 1:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლოვ ჰამი-ნოტოდენი | 3:1 |
| ბრინი-ოდ გრენლანდი | 0:1 |
| ჰაუგესუნდი-სიოგნდალი | 2:0 |
| ჰიოდი-მოსი | 1:5 |
| ნიბერგსუნდი-ალტა | 2:0 |
| სანდეფიორდი-სპარტა | 2:0 |
| სანდნესი-კონგსვინგერი | 1:2 |

**ნორვეგიის თასი**

| | |
|---|---|
| სტრიომსგოდსეტი-ვიკინგი | 3:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბელინცონა-არაუ | 1:1 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-რეიკიავიკი | 1:1 |
| ჰაფნარი-ტროტური | 2:0 |
| ფრამი-აკრანესი | 2:0 |
| კეფლავიკი-ჰკ | 3:2 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ზვეზდა-ნოსტა | 1:4 |
| ტორპედო-მეტალურგი (კ) | 0:0 |
| როსტოვი-ურალი | 3:1 |

**რუსეთის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-ამკარი | 1:1, პენ. 1:4 |
| სიბირი-ზენიტი | 1:0 |
| გაზოვიკი-კრილია | 2:2, პენ. 3:5 |
| ანჟი-ტერეკი | 2:3 |
| კამაზი-ტომი | 1:5 |
| მეტალურგი (ლ)-ლოკომოტივი | 0:2 |
| სკა (რ)-ხიმკი | 2:2, დ.დ. 3:2 |
| ტორპედო (ვ)-ცსკა | 1:4 |
| ვიტიაზი-ნალჩიკი | 2:1 |
| ვოლგა-სატურნი | 1:1, პენ. 4:3 |
| დინამო (ბრ)-სპარტაკი | 1:2 |
| ალანია-მოსკოვი | 1:3 |
| ს. ენერგია-შინიკი | 0:1 |
| ბალტიკა-ენერგია | 3:0 |
| ყუბანი-დინამო | 0:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-პრშიბრამი | 1:0 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| კორონელი-ალ. ატლეტიკო | 0:4 |
| სპორტი-ალ. ლიმა | 3:1 |
| ატ. მინერო-სპორტ ბოისი | 5:0 |
| სენსიანო-სესარ ვალეხო | 2:1 |
| ხუან აურიჩი-ხოსე გალვესი | 0:1 |
| სტ. კრისტალი-მელგარი | 4:1 |

## TV სპორტი

**7 აგვისტო. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო ღამე.
12:55 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. ბრაზილია-ბელგია (LIVE).
14:55 FUTBOL MUNDIAL - საფეხბურთო ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. არგენტინა-კოტ დ'ივუარი (LIVE).
17:35 ევრო 2008. ფინალი. ესპანეთი-გერმანია.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 უიქ-ენდის მატჩების ანონსი.
20:25 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. ავსტრალია-სერბეთი.
22:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. ჰოლანდია-ნიგერია.
00:10 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შტუტგარტი-ვერდერი.
09:00 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
09:25 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
09:50 ფეხბურთი. ევრო 2008. ფინალი. გერმანია-ესპანეთი.
12:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ბაიერნი.
13:50 სპორტდოსიე. გოლფი.
14:15 მძლეოსნობა.
15:05 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. ცინცინატი. აშშ.
20:00 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:55 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. არგენტინოს ხუნიორსი-სან ლორენსო.
22:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ბაიერნი.
00:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ენდი მიურეი. ცინცინატი. აშშ.
03:45 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
04:10 სპორტდოსიე. გოლფი.
04:40 ფეხბურთი. ევრო 2008. ფინალი. გერმანია-ესპანეთი.

**EUROSPORT**

10:30 პეკინი 2008. ფეხბურთი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. გერმანია-ბრაზილია.
11:45 პეკინი 2008. ფეხბურთი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ჩინეთი-შვედეთი.
13:00 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. ბრაზილია-ბელგია (LIVE).
15:00 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. ჰონდურასი-იტალია.
15:45 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. ჰოლანდია-ნიგერია (LIVE).
17:45 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. არგენტინა-კოტ დ'ივუარი.
19:00 ოლიმპიური ამბები.
19:15 ოლიმპიური ვარსკვლავები.
19:45 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. მიმოხილვა.
21:00 ოლიმპიური ვარსკვლავები.
22:30 ოლიმპიური ამბები.
22:45 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. მიმოხილვა.
00:00 პეკინი 2008. ფეხბურთი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. მიმოხილვა.
01:15 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. ჰოლანდია-ნიგერია.
02:15 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. არგენტინა-კოტ დ'ივუარი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. მსოფლიო ტური.
10:00 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. მსოფლიო ტური.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიო ტური.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
14:00 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
15:00 ახალი ამბები.
16:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი. ბრიტანეთი.
17:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
18:00 ნარდი. მსოფლიო სერია. დანიის ღია პირველობა.
19:00 კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი "ბრილიანტის ბურთი". კაცები. ფინალი. ჩინეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
21:00 რალი. IRC-ს ახალი სერია. პორტუგალია.
21:30 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
22:15 ნარდი. მსოფლიო სერია. დანიის ღია პირველობა.
23:15 მულტისპორტი.
00:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XIX ტური. კავასაკი-ნაგოია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
01:30 კიბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატს. 1/4 ფინალი. ლოს ანჯელესი. აშშ.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ინდონეზია.
05:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური გალერეა



თუ დააკვირდებით, აუცილებლად იცნობთ. ეს მამაკაცთა ჩოგბურთის ახალი ლიდერი რაფაელ ნადალია



ოლიმპიადისთვის ტაეკვანდოს ოსტატებიც ემზადებიან. ამის გაკეთება თურმე წყალქვეშაც შეიძლება



წყალქვეშ ფეხბურთის თამაშიც შეიძლება



როჯერმა ყველაფერი დაკარგა: უიმბლდონის ტიტული, პირველი ადგილი რეტინგში. ახლა მისი მთავარი მიზანი ოლიმპიადის ოქროა



ვარჯიშებს შორის შესვენებისას, მოცურავეები საცირკო ნომრებით ერთობიან



ამერიკელი ელისონ ფელიქსი, რომელიც 100 და 200 მეტრზე მთავარი ფავორიტია, პეკინში პირველ მოთელვას ატარებს





გერმანელი დირკ ნოვიცკი პეკინის თამაშების ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავია





ესენი ფეხბურთის ტურნირის მთავარი ფავორიტები არიან. რონალდინიოს ბრაზილიას ოლიმპიადა არასოდეს მოუგია და ნავსის გატეხვას პეკინში ეცდება, მესის არგენტინას ათენში მოპოვებული ტიტულის დაცვას უნდა